# სახალხო გაზეთი

№ 813 შაბათი, 2 თებერვალი 1913 წ. № 813

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წელიწ.** 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



# ქართული თეატრი
კვირას 10 თებერვალს,
## იუბილეი
# ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილისა

ის ბილეთები, რომლებიც დაკავებული იყო და არ წაიღეს, დღეიდან იყიდება თეატრის კასაში. იუბილეის მომწყობი კომიტეტი. 1206

გამოვიდა გასასყიდად ახალი
## პაპიროსები „მაიაკ“ კომეტას ამხ-ბა.
25 ც.—15 ც.—10 ც. 6 ც. ქ. ტფილისი. 1574.


დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 5 თებერვალს.

## ამ ნომერში ექვსი გვერდია.

პანაშვიდი სათავად-აზნაურო ქალთა სასწავლებლის მასწავლებლად ნამყოფ

### ნინო დავითის ასულ ჩიჯავაძის
**(მუსხელიშვილის ქალისა)**

სულის მოსახსენებლად დანიშნულია კვირას, 3 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რასაც აცნობებენ **ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი, ქალთა სასწავლებლის სამზრუნველო კომისია და, საპედაგოგიო საბჭონი: ქალთა სასწავლებლისა და სათავად აზნაურო გიმნაზიისა.** 1047.

**ნატალია ოქროპირის ასული თეთრაძისა, მარიამ ნიკოლოზის ასული და ივანე სიმონის ძე იმნაძენი, თამარა ნიკოლოზი ასული და გიორგი ნიკოლოზის ძე რცხილაძენი და ნინო ნიკოლოზის ასული გძელიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათი რძალი

### ვალენტინა **იოსების ასული** თეთრაძისა.

მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან (ამაღლების ქ., № 45) 2 თებერვალს, დილის 9 საათზე, ამაღლების ეკკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 90.

კვირას, 3 თებერვალს, ქ. ტფილისში კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქმნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

### ეკატერინე **დიმიტრის ასულის** ტურიაშვილისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი **დეკანოზი ლაზარე ტურიაშვილი შვილებით.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. წირვის შემდეგ პანაშვიდი იქნება გადახდილი სასაფლაოზე. 92

### ირაკლი **მახარობელის ძის** სიხარულიძის

გარდაცვალების წლის თავზე, **შაბათს, 2 თებერვალს, დ. სამტრედიაში** დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ბიძა **სპირიდონ გიორგის ძე სიხარულიძე და ძმები განსვენებულისა.** 919

**ტელეფ. № 795.** ## ქართული თეატრი წარმოდ. № 47.

**კვირას, 3 თებერვალს,** ქართ. დრამ. საზ. დას. მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი პიესა ბარეტისა

### ახალი მოძღვრება

დრ. 4 მოქმ. და 7 სურათად, თარგმ. კანდელაკისა.
**მარკის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
**დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს.** ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
1040 რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ.

**ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი**

კვირას, 3 თებერვალს 1913 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახ. წარმოდგ. მმართ. წრის მიერ წარმოდგ. იქნება მესამედ დრამა

### უმუშევარნი

4 მოქმ., ბელოისი, თარგ. ლ. ცაგარლისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ-ნნი ნ. გოცირიძე, თვალჭრელიშვილი, ს. რომანიშვილი, გ. ფრონის-პირელი, ნ. ჭანკვეტაძე და სხვანი. ბილეთების ფასი: 5 კ—დან 50 კ—მდე. დადგმული **ალ. წუწუნავას მიერ.** რეჟისორ. თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე.** ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის ადმინისტრაცია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 8 თებერვალს „სიმახინჯე“ ნ. შიუკაშვილისა. მზადდება წარმოსადგენად „**ლალატი**“ 1034.

# ტფილისის სავაჭრო ბანკის
## დამაარსებელთა
## საორგანიზაციო კომიტეტი

ამით უწყება, რომ, ბანკის წესდების მე-5 § თანახმად,

ბანკის მოქმედების დაწყებისათვის აქციების ღირებულების ნახევარის შესავსები

**40% გადასახადი, რომელიც 100 მან. უდრის,**

მიიღება **სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში,**

რომელიც ჩაიწერება საორგანიზაციო კომიტეტის ანგარ. შია

განსაკუთრებულ ნომრით-30079,

**თებერვლის 11-20-დე.**

სახელმწიფო ბანკის კანტორაში 40% გარდასახადით შეტანის დროს, უნდა წარადგინოს აგრეთვე დროებითი ბარათი 10% გადახდისა და შემდეგ 40% დამატებით შეტანილ გარდახდის კვიტანციასთან ერთად უნდა წარადგინოთ საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარიაში, რათა სათანადო წარწერა გაუკეთონ, დროებითი მოწმობის მიცემამდე.

სხვა ქალაქების აქციონერებს შეუძლიანთ ეს შემოსატანი ფული ფოსტით გადმოსცენ პირდაპირ სახელმწიფო ბანკის კანტორას საორგანიზაციო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშებში ჩასარიცხად 30079 ნომრით, ან კომიტეტის თავმჯდომარის არ. ნ. მილოვის სახელობაზე, ხოლო 10% შემოტანის დროებითი კვიტანციებიც ამასთანავე უნდა გამოგზავნონ საორგანიზაციო კომიტეტს სათანადო წარწერის მოსახდენად.

საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარია იმყოფება: ბებუთოვის ქ. № 50. სახლი ტფილისის ვაჭართა საზოგადოებისა. 1046

## არტისტიულ საზოგადოების თეატრი

**ორშაბათს, თებერვლის 4-სა** 1913 წ., სომხის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ დამსახურებულ არტისტებ **ქ-ნ ვარდუისა და ბ-ნ ტერ-დავითიანის** მონაწილეობით გაიმართება

### საიუბილეო წარმოდგენა
### მსახიობ ა. არუთინიანის
**25 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად.**

1) წარმოდგენილ იქნება მეორე მოქმედება **გ. სუნდუკიანცის** უკვდავი კომედიიდან **პეპო.**
2) 1 მოქ. სომხის დრამატიულ დასის საპატიო წევრის **თ-დ ა. სუმბათაშვილი-იუჟინის** ცნობილ პიესიდან **ღალატი.**
3) მეორე მოქმ. ქართველ დრამატურგ ა. ცაგარლის ცნობილი პიესა **ხანუმა.**
4) **მილოცვა იუბილიარს.**

მთავარი მოწესრიგე დამსახურებული მსახიობი **ო. აბელიანი.**
რეჟისორი **ა. არმენიანი.**
სომხის დრამატიულ დასის გამგეობის თავმჯდომარე **ტ. თამანისიანცი.**
1045 იუბილიარის კომისიის თავმჯდომარე **ალ. ივ. ხატისოვი.**

## ახალი კლუბი
**შაბათს, 2 თებერვალს,**
### საოჯახო საღამო.

თეატრის სცენაზე წარმოდგ. იქნება „**დემონი**“, ოპერა 4 მოქ. რუბენშტეინისა. მონაწილეობენ ქ-ნნი: მ. გ. მინკევიჩისა, ნ. ა. ჩიკოვსკისა და ისტოვისა; ბ-ნნი: ნინობარი, აგასოვი, ალავერდოვი, საბინი და მუროვი ✦ დასაწყის სწორედ **საღ. 8 ს.**

**შემოსავალი გადაიდება მე-4 ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.**

თეატრში შესვლა ხელმისაწვდომია. პარტერის ბილეთები 3 მ. 60 კ.—75 კ.-დე, ქანდარაზე 50 კ. 25 კ.-დე. **წარმოდგენის შემდეგ ცეკვა.** კლუბში შესასვლელად კაცები იხდიან 1 მ., ქალები 50 კ., სტუდენტები 25 კ. 1017

## ქ. თელავი.

**10 თებერვალს,** საქალაქო საკრებულოს დარბაზში,
**ვლადიმერ სარდიონის ძის ალექსი-მესხიშვილის**
**ქართულ სცენაზე 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად**
გაიმართება **საღამო.**

1) **აპოთეოზი-ბიოგრაფიით.**
2) **„გამცემი“** დრამა 3 მოქ. გედევანიშვილისა. 3) **ცეკვა.**

**დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.** დასაწყისი საღ. 8 ს.
1044 საღამოს დიასახლისი **მარიამ კანდელაკისა.**

## ახალი კლუბი
სამშაბათს, 5 თებერვალს 1913 წელს.
### მასკარადი

დანიშნულია ოთხი ჯილდო: 1) საუკეთესო ტანისამოსისათვის, 2) ორიგინალურ ტანისამოსისთვის, 3) მახვილობისათვის, 4) საუკეთესო ცეკვისათვის. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელად: კაცები 1 მ. სტუდენტები 25 კ.
მასკარადი საღამოს 10 საათზე დაიწყება. 1017.

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
**ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:**

| | |
|---|---|
| აბაშიძე გრ. . . . . . . . . ფ. 60 კ. | თამარიანი, გუგუნავასი . . . . 50 „ |
| ბარათაშვილი ნ. . . . . . . „ 40 „ | ორბელიანი ვახტ. . . . . . . 60 „ |
| ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. საზ. გამ. 1 მ.— | ორბელიანი გრ. რჩეული ლექს. . . . . . . . 20 „ |
| გურამიშვილი დ. „დავითიანი“ 1 მ.— | სილოვანის ლექსები 1878—1894. . . 50 „ |
| გურიელი მამია . . . . . . . 1 მ.— | ცისკარი. რუხაძის ლექსები . . 25 „ |
| განდეგილის ლექსებ. . . . . — 50 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი . 60 „ |
| დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ. 70 „ | ჭავჭავაძე ალ. ლექსები . . . . 30 „ |
| ერისთავი რაფ. წ. I . . . . . 1 მ.— | ჭავჭავაძე ილ. . . . . . . . . 27 „ |
| ევდოშვილი, ლექსები და პოემები . . . . 60 „ | წერეთელი აკაკი ტ. I . . . 1 მ.— |
| ვაჟა-ფშაველა . . . . . . . . 1 მ.— | — — ტ. II . . . 1 მ.— |
| ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც. 10 მ. 65 „ | — —ჩემი ნაწერ. ტ. I 75 „ |
| „ „ ქ. შ. წ. კ. ს. გამ. 60 „ | — — იგავ-არაკნი . 50 „ |

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. гр. мотности сред. гр. нас. 111

## გამოსულია და იყიდება
## ი. გედევანიშვილის პიესა
# „გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
## წამლობა ჭლექისა
ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა
ტუბერკულინ
შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოლოდ.** კი, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. **ტელეფ.** კუთხე). 7—28. 847

## სამუსიკო სკოლა
**ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოებისა**

(ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6.)

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელის, კონტრაბასის, სიმღერა (solo,—ხმის დაყენება და გავარჯიშება და აგრეთვე ოპერების შესწავლა და სცენისათვის მომზადება) ელემენტარული თეორია, ჰარმონია, ენციკლოპედია, ნოტების კითხვა (solfegio) და ხოროს კლასებში მოხდება 2 იანვრიდამ ყოველდღე (კვირა უქმეების გარდა) დილის 11-დამ 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათ. ახლად მოწვეულია სიმღერა „სოლოს" მასწავლებლად, მოსკოვის კონსერვატორიის თავისუფალი ხელოვანი, **ს. ნ. სოლოვიოვა—სტრახოვისა.**

სწავლის ფ ა ს ი: ფორტ. პიან., ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში. სიმღერა (solo) და სკრიპკა, 75 მან. წელიწ. თეორეტიული კლასსები 15 მან. წელიწადში. სწავლის ფასი გადაიხდებათ წინდაწინ ნახევარი წლისა.

**სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან.** 1676.

## მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.
ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

## „ნ ა კ ა დ უ ლ"-ზე.

**წელიწადი მეცხრე.**

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ო რ ი გ ა მ ო ც ე მ ა:**

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარეთ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **ს ა ჩ უ ქ რ ა დ ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან** ✦ **„ბიძია თომას ქოხი"**, ✦ სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული" მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

ზიაში რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ. პავლე თუმანიშვილი.**

ქარხნის მარკა

## კონიაკი და ლიქორი
## ს. ს. შამრიარსკისა
ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა
## წინამძღოლის
თანამდებობის აღმასრულებელი სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ,

**მ ო ბ რ ძ ა ნ დ ნ ე ნ**

თავად-აზნაურთა საგუბერნიო

## საგანგებო კრებაზე,
რომელიც დანიშნულია **კვირას, 3 თებერვალს,** შუადღის 12 საათზე, სათავად-აზნაურო **თეატრის დარბაზში.**

კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება, თუ რაოდენი თანხა გადაიდოს თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლის განკარგულებაში წარმომადგენლობისათვის. 1031

## ტფილისის კერძო სამკურნალო
**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ბესიკის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მუხრანის ხიდის ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.**

სწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დზვითოიანი** რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი** გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღლაშვილი** გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე** შ. ა. (ყოველ დღე) $12^{1}/_{2}$—1.<br>**ფედოროვი** ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი** გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.)<br>**მელიქიშვილი** ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირაძოვი** რ. ნ. (ყოველ დღე) 12—1.<br>**ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) $11^{1}/_{2}$ $12^{1}/_{2}$. |
| ქალთა და სამშობიარო სნეულებანი. | **ექიმი-ქალი გერბიცკაია-ფირაძოვისა** ლ. (ყოველ დღე) 11—12.<br>**თაყაიშვილი** ა. ე. (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი** ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულბიკოვი** ა. ი. (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—$1^{1}/_{2}$ ს.<br>**მიქელაძე** შ. ა. (ყოველ დღე) $12^{1}/_{2}$—1.<br>**ფედოროვი** ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექ. | **გედევანიშვილი** მ. ა. (შაბათობით) $10^{1}/_{2}$—11.<br>**დზვითოიანი** რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი**, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **ბთენიანცი** ნ. ა. (ყოველ დღე) $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$<br>**ორემბოვსკი** ნ. ს. (ყოველ დღე) $1^{1}/_{2}$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი** გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$. |
| კანის და ვენ. | **დიასამიძე** ა. ნ. (ყოველ დღე) $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოსხულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი სამკურნალო. ფ. 1 35

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
## მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. ფ. 3022

**ექიმი** ზ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^{1}/_{2}$ საათ. კაზენის ქ., № 6.

**ექიმი** ნ. ნ. ჯავახიშვილი,
**ორდინატორად ნამყოფი**
კიევის ხელვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.

**იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 67

**ექიმი** კბილისა **ნინო რიხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. სად. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი აქარაშვილისა

## საგურთალოზე
მშვენიერ ადგილას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ უეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ფ. 1020

## სამკურნალო
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 $^{1}/_{2}$ ს.

**აზვლედიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.

**ბოგუსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა $1^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვეხელოვ ზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**იოხელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაში,** ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა $1^{1}/_{2}$ $2^{1}/_{2}$ ს.

**გ. ნ. გენაცი**—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. ს ღ. 4—5 ს.

**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., სად. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს**

**საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 366.

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გასხვრეპის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^{1}/_{2}$ ს. **ელისაბედ.** ქ., № 54. კიროჩნის ქუჩის ახლო, სპეციალ. განყოფი. პირდაპირ. 102

**ექიმი** ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334


## ახალი ამბავი
### ტფილისი

✦ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეის გამო.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: მიიღოს მონაწილეობა იუბილეიში და დაავალოს გამგეობის წევრს შ. მიქელაძეს, საზოგადოების სახელით იუბილარს ადრესი მიართვას.

✦ **ტრამვაის დირექციის** განკარგულებით, ტრამვაის უფასო ბილეთებს ძალა აქვთ 15 თებერვლამდე.

✦ **მებამბეობა.** აგრონომმა ს. ნ. ტიმოფეევმა კავკ. სას.-სამ. საზოგადოებას წინადადებას აძლევს, სასტატისტიკო ბიუროს დაევალოს, დროგამოშვებით ცნობების შეგროვება მებამბეობის მდგომარეობაზე.

✦ **მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა** დაავინა, 500 მან. მისცეს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას სამეურნეო იარაღებისა და მანქანების (სეპარატორებისა, გუთნების და სხვ.) საცდელად.

✦ კვირას, 3 თებერვალს **ნაძალადევში** წაიკითხავს ქ. უთმელიძისა „თავ-დადებულნი ქართველნი". **ავჭალის აუდიტორიაში** ქ. ჩხეიძისა „ქვა-ნახშირი". **სამკურნალო საზოგადოებაში:** ქ. ნასიძისა—„პაპას ცოდვა".

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის **ინსპექტორი ლოპატინსკი** 30 იანვარს ერევნის გუბერნიაში გაემგზავრა.

✦ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა **თ-დმა პ. ი. თუმანიშვილმა** ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა ორი დესეტინა ადგილი, ქართულ გიმნაზიის გვერდით.

✦ პორუჩიკს **გიორგი მიხეილის ძე თ-დ ხერხეულიძეს** ებოძა შტაბს-კაპიტნობა. იგი საეროზო დარაჯთა უფროსად სიღნაღიდან ოზურგეთში გადაიყვანეს.

✦ როგორც გავიგეთ, **ი. გ. სულხანიშვილი** ქალაქის საბჭოს ხმოსნობას თავს ანებებს.

✦ **ტრამვაის** დირექცია ქალაქის გამგეობამ სხვა და სხვა დროს 3,100 მან. დააჯარიმა გაულაქავ ვაგონების გამოშვებისათვის. გამგეობის დადგენილებას დირექცია ქალაქის საბჭოში ასაჩივრებს.

✦ ქალაქის საბჭომ დაადგინა, ქალაქის სასკოლო კომისიის წევრად მოიწვიოს ცენზიანი მაჰმადიანი, რომელმაც მაჰმადიანთა სასწავლებლების მეთვალყურეობაც უნდა იკისროს. ამის გამო გუშინ ქალაქის მოურავს წარუდგა **მაჰმადიანთა დეპუტაცია,** და მადლობა გადაუხადა ასეთ დადგენილებისათვის. ამასთანავე სთხოვა, იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა სასკოლო კომისიის წევრად იბრაგიმ-აღა ვექილოვი დამტკიცოს.

✦ პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო კურსებთან დაარსებულია **ქართული სამეურნეო-სამეცნიერო წრე.** წრის მიზანია თავისი წევრები კავკასიისა და კერძოდ საქართველოს პირობათა მიხედვით მოამზადოს. ამისათვის: 1) გამართავს კრებებს, სადაც მოისმენენ მოხსენებასა და რეფერატებს; 2) თავის წევრებს ავალებს, რომ ზაფხულობით სამშობლოში რომელიმე სამეურნეო დარგში იმუშაონ. 3) იძენს სპეციალურ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.

ამ წრეში ჩასარიცხად მსურველმა უნდა გადაიხადოს საწევრო 3 მანეთი, ხოლო თვედათვე 25 კ. საპატიო წევრობას მსურველი იხდის არა ნაკლებ ასი მანეთისა: უკეთუ ამ წრემ რაიმე მიზეზისა გამო არსებობა შესწყვიტა, მთელი მისი ქონება დამტკიცებულ წესდების ძალით გადავა საქართველოში არსებულ „ქართულ სამეურნეო საზოგადოების" საკუთრებად.

✦ **წესიერ დასვენების** ახალი სავალდებულო დადგენილებანი ყველას თავისებურად ესმის. მაგალითად საბირჟო ტრაქტირები მთელს დღესა და ღამეს ვაჭრობენ მაშინ, როდესაც დადგენილების ძალით ტრაქტირები უნდა იყოს ღია, მაგრამ ტრაქტირების ბუფეტები კი უნდა დაკეტონ. პოლიცმაისტერმა განკარგულება მოხდინა, რათა ტრაქტირების მეპატრონეებმა დადგენილებანი დღეის შემდეგ აღარ დაარღვიონ.

✦ დღეს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს ხმოსნები სოლოლაკში გაემგზავრებიან, სადაც დაათვალიერებენ იმ ქუჩებს, რომელზედაც ტრამვაის ხაზი უნდა გაიყვანონ.

✦ **საბირჟო ცნობები.** 1 თებერვალს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ 85 მან. 50 კ., აძლევენ—84 მ. 75 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—82 მ. 75 კ., აძლევენ—82 მ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—78 მ. 50 კაპ., აძლევენ—77 მ. 50 კ.

✦ თელავის მაზრაში შეიპყრიათ **მიხეილ ნასყიდას ძე ჩიკვაიძე,** რომელიც 1912 წ. ნოემბრის 21 ტფილისის საგუბერნიო ციხიდან იყო გაქცეული. მას ფულების დატყუებისათვის გადაწყვეტილი ჰქონდა სამი წლის ციხე. ჩიკვაიძეს ეხლა ზაქარია ჩარკაძის გაძარცვაც ჰბრალდება.

✦ 31 იანვარს ტფილისში შეიპყრეს ადმინისტრატიულად გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული **მიხეილ ზაქარიას ძე ზეითურიძე.**

✦ 31 იანვარს, სასტუმრო „ევროპა"-ში უცებ გარდაიცვალა სამსახურ გარეშე მყოფი **გენერალ-მაიორი ნიკოლოზ რევაზის ძე გოგნიაშვილი.** იგი მიხეილის საავადმყოფოში წაასვენეს.

✦ 31 იანვარს, სხვა და სხვა უბანში პოლიციამ 101 უპასპორტო შეიპყრო.

✦ უკვალოდ დაიკარგნენ: ნურიმან იონუსოვი, ალექსი იოსების ძე ხაჩიაშვილი და გეორგ სერგეს ძე ასლანოვი

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ ტფ. გუბერნიის **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება** 3 თებერვალს მოხდება.

✦ **ქალაქის საბჭოს კრება** 4 თებერვალს მოხდება. ამ კრებაზე, სხვათა შორის, მოხდება არჩევნები გამგეობის წევრებისა ნაცვლად გ. დ. ჟურულისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა.

✦ ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, მოიწვიოს 3 თებერვალს საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, საზოგადოების ანგარიშის განსახილველად და თანამდებობის პირთა ასარჩევად.

✦ **სამღვდელოების კრება.** 31 იანვარს საღამოს კრებაზე სამღვდელოებამ მსჯელობა იქონია სანთლის ქარხნის თაობაზე. ქარხნის ზედამხედველმა დეკანოზმა ჯაჯანიძემ აღნიშნა, რომ ქარხანას იმდენ ფულის გაღება არ შეუძლიან, რამდენსაც მოთხოვნილებას უყენებენო. მის აზრით, ქარხანას სამღვდელოების საჭიროებაზე შეუძლიან გაიღოს მხოლოდ 40,000 მ. წელიწადში. კრება ამ აზრს დაეთანხმა. ამის შემდეგ ითათბირეს იმის შესახებ, რომ ბლაღოჩინებს % % მიეცეთ გაყიდულ სანთლის ფულიდან. ახლა 10 პროც. ეძლევათ. სამღვდელოებამ დაადგინა, ჯერ კიდევ ძველი წესი დარჩეს. გუშინდელ კრებაზე თავმჯდომარემ ა. ჯალიაშვილმა სამღვდელოებას წაუკითხა წინა დღის კრებების ოქმები და ხელი მოაწერინა. რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის აღნიშვნის გამო, სამღვდელოებამ ერთხმად დაადგინა: სამღვდელო პირთა მომავალ თავშესაფარს დაერქვას რომანოვების სახელი და ეთხოვოს საქართველოს ეგზარხოსს, გადასცეს საგანგებო დეპეშით ხელ. მწიფეს უქვეშევრდომილესი გრძნობანი საქართველოს ეპარქიის სამღვდელოებისა, ამით დასრულდა კრება, რომლის შემდეგაც საქართველოს ეგზარხოსს წარუდგნენ,

✦ 30 იანვარს საარქეოლოგიო საზოგადოების კრებაზე ბ-ნმა ს. ვ. ტერ-ავეტისიანმა მოხსენება წაიკითხა „არპატის მონასტრის წარწერებზე". ამ მონასტერში შენახულია სომხური წარწერები, საიდანაც სჩანს, რომ მონასტერი აგებულია ძალიან საუკუნეში. წარწერებში მოხსენებულია, ქართველი მეფეები, დავით აღმაშენებელი გიორგი მესამე, თამარ დედოფალი, ლაშა გიორგი მეოთხე და თამარის სარდლები—ზაქარია და ივანე.

ამ ჟამად ეს მონასტერი მეტად უბადრუკ მდგომარეობაში ყოფილა, თუმცა იქვე სცხოვრობს არქიმანდრიტი და იქვეა სამრევლო ეკლესია. მომხსენებელმა საზოგადოებას სთხოვა, მიჰმართოს სრულიად სომხეთა კათალიკოსს, რათა ამ ძვირფას ნაშთს პატრონობა გაუწიოს. კრებამ დაადგინა ასეთის შუამდგომლობით მიჰმართოს კათალიკოსს.

✦ **კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება 31 იანვარს მოხდა. ი. ს. ჯაბადარმა წაიკითხა მოხსენება. მოგვყავს მოკლე შინაარსი: კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ბოძებული ჰქონდა ოთხი ნაჭერი მიწა მეფის მოადგილედ ნამყოფ თ-დ მ. ს. ვორონცოვისაგან, რომელსაც უმაღლესად ნება ჰქონდა, სახაზინო მიწები ამა თუ იმ საჭიროებისთვის მოეხმარებინა. ეს მიწები იყო: 1) ავლაბრის ფერმა, ზომით სამი დესეტინა, 2) ლოჭინის აგარაკი, ზომით 268 დესეტინა, 3) მუშტაიდის მიწა, სადაც ახლა საბაღოსნო სასწავლებელია, ზომით $6^{1}/_{2}$ დესეტინა და 4) ალექსანდრეს ბაღის მიწა, სადაც სამეურნეო საზოგადოების სადგომია. პირველი ორი ნაჭერი მიუთვისებია სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს. ესევე სამმართველო სცდილობს, საზოგადოებას ჩამოართვას მუშტაიდის მიწაც, რაიც სჩანს იქიდან, რომ ამას წინად საზოგადოებას წინადადება მისცა, გაანთავისუფლეთ სახაზინო მიწა (მუშტაიდისა), საცდელ სასოფლო სამეურნეო სადგურისთვის გვჭირდება, თქვენ კი სკოლისთვის სხვაგან გიშოვით მიწასაო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიწას, საზოგადოება დიდი ხანია მფლობელობს, როგორც საკუთრებას და 1885 წლიდან იქ საბაღოსნო სასწავლებელი აქვს. მოხსენებაში დაყენებულია ორი კითხვა: 1) უნდა გაანთავისუფლოს საზოგადოებამ ეს მიწა, თუ არა და 2) დრო არის თუ არა, რომ აღიძრას შუამდგომლობა, რათა მიწა კანონიერად დამტკიცდეს საზოგადოების საკუთრებად. პირველ საკითხის გადასაწყვეტად უკვე მუშაობს საგანგებო კომისია. მეორე საკითხის გამო კი კრებამ მიიღო მხედველობაში, რომ საკუთრებად დამტკიცება ხელიდან მიწის გამოცლის საფრთხეს მოსპობს და საზოგადოების მოქმედებას გაუხსნის ყველგან, რითაც საზოგადოებას შეეძლებინება მოქმედების გაფართოებას და დაადგინა, იშუამდგომლოს მეფის მოადგილის წინაშე, რათა მუშტაიდისა და ალექსანდრეს ბაღის მიწები კანონიერად დაამტკიცონ საზოგადოების სრულ საკუთრებად.

### სასამართლო

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია,** რომელიც ყარსსა და ერევანში იყო, ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს** სესიები შულავერიდან და თელავიდან ტფილისს დაბრუნდნენ.

### გორი

✦ კვირას, 3 თებერვალს, დანიშნულია კრება **„გორის ქართველ გამომცემელთა"** ამხანაგობისა ეს კრება გადასწყვეტს გაზ. „ქართლის" არსებობის საკითხს.

✦ ამ კვირია გორში ჩამოთბა.

### ქუთაისი

✦ წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის ახალ გამგეობის პირველ სხდომაზე, თანამდებობის პირთა არჩევანი მოხდა. თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკო ლორთქიფანიძე, მის თანაშემწედ ჯაჯუ ჯორჯიკია, ადმინისტრატორებად: გიორგი სვანიძე და ლონგინოზ ჩიმაკაძე, ხაზინადრად ანდრია შუბლაძე და მდივნად ბიკტორ ასათიანი. ჩაიბარეს ამხანაგობის ქონება და დაადგინეს ამ თავით გამოიცეს სამი წიგნი—ერთი საბავშო, მეორე ახალგაზრდა მწერლების კრებული და მესამეც გრიგოლ ვოლსკის ნაწერები. გამგეობის მეორე კრებაზე, 29 იანვარს, წევრები გაეცნენ ფულების ანგარიშებს. საწევრო გადასახადი არ ჰქონია მთელოდ შემოტანილი ბევრს ისეთს პირს, ვინც უეჭველად არ დაიზარებს დარჩენილი ვალის გადახდას. ეს საქმე მიენდო ხაზინადარს ბ-ნ შუბლაძეს. გამგეობამ დაადგინა—ახლავე შეუდგეს განზრახულ გამოცემებზე ზრუნვას, თუ სამივე წიგნი არა, საყმაწვილო კრებული მაინც უსათუოდ გამოიცეს საალდგომოდ. ამისათვის გამგეობა მიჰმართავს ავტორებს ახლავე გამოუგზავნონ მასალები საყმაწვილო და ახალგაზრდა მწერალთა კრებულებში (ჯერ დაუბეჭდავი, ორიგინალური) მოსათავსებლად, გამგეობის მდივნის ბ. ასათიანის სახელზე ამ მისამართით: ქუთ. ორპირის ქ. 1 მისახვევი, სახლი ბახტაძისა, ბ. ასათიანს.

✦ ამავე სხდომაზე გადაწყვიტეს—გაიმართოს მოლაპარაკება ავტორის მემკვიდრეებთან გრიგოლ ვოლსკის ნაწერების გამოცემის თაობაზე, ეთხოვოს პროფ. ჯავახიშვილს მოაწოდოს გამგეობას ვოლსკის ნაწერების ბიბლიოგრაფია და მის ნაცნობ-ნათესავთა და ყოფილ თანამშრომელთ—გამოგზავნონ ყოველგვარი მასალები გრიგოლ ვოლსკის ბიოგრაფიისა და მის ლიტერატურ მოღვაწეობის ასაწერად.

✦ 5 თებერვალს ქალაქის თეატრში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო საკონცერტო განყოფილებით. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ნ. ჩარექოვისა, მსახ. ქალი ც. ამირაჯიბისა, ცახელი, ს. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, მ. უზნაძე, გუცა, ი. ბახტაძე, აპ. წულაძე, ვ. ურუშაძე, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ჯ. ჯორჯიკია, თაგუნა, დ. სესხი და სხვ. საკონცერტო განყოფილებაში—ქუთაისის ქართულ მომღერ. გუნდი, ქ-ნი ან. შარაბიძისა, ლ. პ. კარაკოზიანი, საადა და სხვ.

✦ 26 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატის სესია ქალაქ ქუთაისში გაარჩევს საშა, გრიგოლ და არდევან დუგლაძეების საქმეს, რომელთაც ქუთაისის ოლქის სასამართლოსაგან სხვა და სხვა ვადით კატორგა აქვთ გადაწყვეტილი დაცემისთვის. გამოწვეულია 16 მოწმე. მათ იცავს ქუთაისელი ნაფიცი ვექილის თანაშემწე გრიგოლ გიორგაძე.

✦ 30 იანვარს ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან გაანთავისუფლეს თარაში ქირთ-ბაია, რომელმაც ერთი წლის ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში სასჯელი მოიხადა.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატამ ბრალდების ოქმი ჩააბარა მელიტონ გობეჩიას. გობეჩიასთან ერთად პასუხის გებაში მიცემულნი მიხაკო ახალაძე და ალექსანდრე ჩხეტია.

✦ კვირას 28 იანვარს ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან ბათომის საპატიმროში გაგზავნეს ლუკა რევიშვილი და ფილიპე ონიკო, ასტრახანის გუბერნიაში სიმონ ჩიხინოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის ციხეში სანდრო გვასალია და პავლე დამენია. ქალ. პეტროვსკის საპატიმროში პორფილე გოკსაძე, ვასილ ამილახვარი და დომენტი კვანტალიანი. სულ 9 პატიმარი.

(„იმერ.")

✦ ქუთაისის გუბერნსტორის განკარგულებით, პასუხის გებაში მისცეს ქუთაისის ციხის უფროსის თანაშემწე მამულოვი ტუსაღის ცემისათვის.

✦ რუსულიდან ქართულ ენაზე თენგიზ ჟღენტმა გადათარგმნა გლებოვის ბროშურა „სოფლის მომხმარებელი საზოგადოება" (კავშირი დიდებული საქმეა). ეს ბროშურა ახლო მომავალში გამოიცემა ცალკე წიგნაკად ქუთაისში.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს გამომძიებელი ამ ჟამად იძიებს შორაპნის მაზრაში ბოქაული სვანიძის მოკვლის საქმეს.

✦ 29 იანვარს ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოს საავადმყოფოში გარდაიცვალა მარო გაბედავას გაბუნიას ასული. გაბედავას ქალს 20 წლის კატორღა ქონდა მისჯილი ქმრის მოკვლისათვის.

✦ გუშინ ფოთის ციხიდან ქუთაისის ციხეში ჩამოიყვანეს: პეტრე ურუშაძე და ექვთიმე მაღნარაძე.

✦ 30 იანვარს სოხუმისა და ბათუმის ციხეებიდან ქუთაისის ციხეში 24 კაცი ჩამოიყვანეს ეტაპით.

✦ სენატმა დაამტკიცა ექვთიმე ახობაძისა, ივანე ხურცილავასი, სამსონ მარჯანოვისა, ალექსი გაგუასი და პავლე გარდაფხაძის საქმე: ამათ მისჯილი აქვთ სხვა-და-სხვა ვადის კატორღა ხალხში ყალბი ფულების გავრცელებისათვის („მერც.").

## სოფლად.

✦ ღ. ძირულაში 22 იანვარს აკურთხეს სკოლის ახალი შენობა.

✦ ს. ვაჟა (ქართლი). 30 იანვარს ადგილობრივ სკოლის დარბაზში, ქართლის აგრონომმა **ე. კარბელაშვილმა** წაიკითხა ლექცია: „სათესლე სიმინდის ტაროს არჩევა". ლექციას სამოცამდე მსმენელი დაესწრო.

# ჟურნალისტის დღიური

121.

**პასუხად ბ-ნ მოსულს.**

თუმცა ბ-ნი მოსული გვედავება, ბოდიში უნდა მოიხადოთო, მაგრამ, როგორც ვხედავ, საბოდიშოდ თითონ უცვნია თავისი თავი. ტონს დაუკლო და ავაზაკებსაც აღარ ახსენებს. ალბად იგრძნო, რომ პირველად შეცდომა მოუვიდა. არსებითად კი იგი ისევ იმავ აზრს იმეორებს: სანადელო მიწებში მიღებული ფული ხალხისაა და თუ იმისი ნაწილი ამა თუ იმ სახით ისევ ხალხს დაუბრუნდა, აქ საქებური არაფერიაო. ბევრი ვიფიქრე და ვერ მივხვდი, რაზე ჯავრობს ბ-ნი მოსული? „ჩვენში ალშფოთებას იწვევენ, —სცდილობს იგი განგვიმარტოს, —რომლისაც გვარწმუნებენ, რომ თუ ქართველი თავად-აზნაურობა ხალხის ფულის მეოთხედს საზოგადო თანხად აქცევს, ამით სამშობლოსა და ქართველ ხალხისადმი თავ-განწირვას დაამტკიცებს, ხოლო ქართველი ქალები—თამარის, ქეთევანის და ნინოს სწორნი გაჰხდებიანო". შეიძლება ამით ქართველი ქალები თამარის სწორნი არ გახდნენ, მაგრამ, თუ მოახერხეს და ეს საქმე განახორციელეს, განა კარგს საქმეს არ იზამენ? ზემო-მოყვანილი სიტყვებიც ხომ მხოლოდ ამ აზრით არის ნათქვამი? მაგრამ ბ-ნ მოსულს, როგორც ეტყობა, უნდა, რომ რახან ესა თუ ის პირი თავადიშვილია, უსათუოდ ცუდი იყოს. თუ ღმერთი გაუწყრა და მიღებულ ფულიდან ნაწილი მაინც გადასდო საზოგადო საქმეს, ქვასა და გუნდს-მიაყრის —არ მივიღებ, რადგანაც სულ ჩემიაო. თუ იმისთანა პირობებში, როდესაც ჩვენს თავად-აზნაურობას სრული იურიდიული უფლება აქვს საზოგადო საქმისთვის კაპეიკიც არ გადასდოს, მან მეოთხედი მაინც გაიმეტა საზოგადო საქმისთვის, ბ-ნმა მოსულმა ქვა და გუნდი კი არ უნდა მიაყაროს, არამედ პირდაპირ უნდა უთხრას: მართალია მთელი თანხა ჩვენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ კიდევ კარგი, ეს მაინც გაიმეტეო.

ეს ისეთი უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ წარმოუდგენელიც არის, როგორ შეიძლება ამ საგანზე ორი აზრი არსებობდეს?

„ჩვენი წერილის მიზანი იყო, —განაგრძობს ბ-ნი მოსული, —დაგვენახვებინა ჩვენი მკითხველისათვის, რომ თავ.-აზნ. მიერ მისაღები სანადელო ფული ჩვენი გლეხობის ფულია და არამც თუ მისი მეოთხედის, არამედ მისი სულ მთლად საზოგადო თანხად გადაქცევაც კი არ შეიძლება თავ-განწირვად და სამშობლოსადმი თავ-დადებად ჩაეთვალოს მის უკანონო და უსამართლო პატრონთ". ეს თქვენი გემოვნების საქმეა. ჩვენ კი გვგონია, რომ ქართველ თავად-აზნაურობაში ბევრი არ გამოჩნდება ისეთი, რომელიც თავის პირად ინტერესს ამ შემთხვევაში დაივიწყებს და უარს იტყვის იმის ნაწილზე მაინც, რაც კანონმა აკუთვნა. დღევანდელ მერკანტილურ და ეგოისტურ ხანაში გადაგდება იმისი, რაც ჯიბეში გიდევს, ძალიან ძნელია, და თუ თავად-აზნაურობის წრეებში ბევრი გამოჩნდა ისეთი, რომელიც იურიდიულ უფლებას ყურადღებას არ მიაქცევს, თავის სინდისს დაეკითხება და ნაწილს მაინც გადისდებს საზოგადო საქმისთვის, —ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. თუ ბ-ნი მოსული სხვანაირადა ფიქრობს და ჰგონია, რომ თავად-აზნაურები ამ შემთხვევაში დანაშაულობას სჩადიან, —ჩვენ ვერ გადავაჯერებთ.

მაგრამ ბ-ნი მოსული მაინც არა კმაყოფილდება: უნდა დააჯეროს მკითხველი, რომ განზრახული ბანკი მხოლოდ თავ.-აზნაურობისთვის იქნება სასარგებლო. აქაც ბ-ნ მოსულს იმდენად საქმის ინტერესი არ ალაპარაკებს, რამდენადაც მოწინააღმდეგის აზრისა და თვით მომავალ დაწესებულების დაარსების იდეის დამცირება.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რანაირი ტიპის დაწესებულება შეიქმნება. ზოგ მათგანს ვიწრო კლასიური ხასიათი ექნება, ზოგს კი ნაკლები.

აკი ჩვენც იმიტომ შევჩერდით სამელიორაციო კრედიტზე, ან, უკედ რომა ვსთქვათ, ისეთ კრედიტზე, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო გაუმჯობესება აქვს მიზნად. ასეთი კრედიტი უსათუოდ უწოდობრივო უნდა იყოს. უწოდობრივო იქნება იგი არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ ასე ვვინდა, არამედ იმიტომ, რომ ასეთი კრედიტი თავისთავად მხოლოდ უწოდებრივო შეიძლება იყოს.

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ შემდეგი. ეს საკითხი საკამათოდა და პარტიულ ჟინიანობის დასაკმაყოფილებლად არ აღძრულა. ყველას გულისყური იქითკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი დაინტერესდეს. ამისთვის საჭიროა არა მარტო ნაცარ-ქექიაობა და ჩხირ-კედელაობა, რასაც ბ-ნი მოსული სჩადის, არამედ საქმე.

ამიტომ ამ საგანზე სრულიადა ვსპობთ კამათს ბ-ნ მოსულთან.

**შინაური.**

# მანუყრელნი

მუდამ ორნი ვართ, მუდამ ძმანი ვართ
და განუყრელად ქვეყნად დავდივართ.
მე ვარ პოეტი და იგი სევდა,
სევდა მლილვით გულისა მხვრელი,
მის გამო შვება გაფრთხა, გაძევდა
და მომავალშიც აღარსად ველი.
მზე სიამისა აღარა მნათობს,
სიცოცხლე მიდის, უკვალოდ ჰქრება;
სევდა ჩემს გულში ყველაფერს აჰქრობს,
მაგრამ თითონ კი არას დროს ქრება.
ნეტავ საფლავშიც თან ჩამომყვება?
ან სხვას ვერ ჰპოვებს მეგობარს სოფლად?
ან ჩემი სახე თუ მიეცემა
და ამ სოფელში დარჩება ობლად?!..

**ი. მჭედლიშვილი.**

# პროფესორი პ. ქეიშვილი

ხარკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი და ქალთა სამკურნალო ინსტიტუტის პროფესორი პარმენ ქეიშვილი დაიბადა 1871 წ. სოფელ ქვიტირში, ქუთაისის ახლოს. სწავლობდა ქუთ. პროგიმნაზიაში. შემდეგ აფთიაქის მოწაფედ მსახურებდა; პროვიზორის თანაშემწის ხარისხის მიღების შემდეგ, ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა სამკურნალო ფაკულტეტზე; 1902 წლ. 1904 წლამდე ხარკოვის უნივერსიტ. ფარმაცევტული ლაბორატორიაში მუშაობდა; ამავე წელს მიიღო ფარმაციის მაგისტრის ხარისხი. შემდეგ სხვა და სხვა ლაბარატორიებში ვარჯიშობდა. 1905—1907 წლამდე ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტად ირიცხებოდა, ხოლო მერე გრენობლის უნივერსიტეტში გადავიდა, რომელიც ქიმიის დოქტორის ხარისხით დაამთავრა. 1912 წელს იგი აირჩიეს ხარკოვის უნივერსიტეტში ფარმაციისა და ფორმაკოგნოზიის კათედრაზე პრივატ-დოცენტად, შემდეგ კი პროფესორად იმავე კათედრაზე ქალთა საექიმო ინსტიტუტში. დაწერილი აქვს რამდენიმე სამეცნიერო შრომა და დღესაც მხნედ განაგრძობს მუშაობას.

# ნინოობა სტამბოლში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

რომის პაპის პიო მე-X ნებართვით აქაურ ქართველთა მონასტერში შესრულებულ იქმნა წირვა ქართულის ტიბიკონით და გალობით. საგანგებოთ მორთულ და გაჩირაღდნებულ ეკლესიაში ბლომად შეიკრიბა აქაური ქართველობა, სამშობლო ენაზე ღვთის მსახურების მოსასმენად. წირვაზე ქართველ მამათა წინამძღვარმა, ყოვლად პატივცემულმა, მამა პიო ბალიძემ ფრიად საყურადღებო და მგრძნობიარე სიტყა წარმოსთქვა, შესაფერ დღესასწაულისა და მკაცრად გაჰკიცხა მტერნი ქართული ტიბიკონისა, რომელიც ამ 6—8 წლის წინეთ მიღებული იყო ამ მონასტერში და რომელიც გაძევებულ იქმნა ქართველი ერის და სარწმუნოების მოღალატეების ცდილობით. მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო მთავრობას მის წინააღმდეგი არაფერი აქვს. მამა პიოს არავინ დაუსახელებია, მაგრამ ეს ხომ საჭიროც არ იყო, რადგანაც ყველა აქაურმა ქართველმა იცის, რომ ქართული ტიბიკონისა და საზოგადოდ „ქართველობის" დაქვეითება ამ მონასტერში შედეგია მღვ. ბენედიქტე ჩილინგაროვის (ვარდიძის!?) უფროსობისა, რომელიც აშკარათ ქადაგებდა, რომ ქართული ტიბიკონი შეწყნარებული არ არის რომის მიერ და არც მონასტერშია სასურველი მისი შენახვაო... დღეს ყველამ ნათლად დაინახა სიყალბე ამ გვარ მქადაგებლობისა: თვით პაპმა ნება დართო მ. პიოს—ლათინურ წესის მღვდელს—ეწირნა ქართულად, ასეთი ფრიად იშვიათი მოვლენა მაჩვენებელია, რომ პატრმა ბენედიქტემ უფრო თავი გამოიდო ლათინობისათვის, ვიდრე პაპმა, რომელსაც არაფერი ჰქონია საწინააღმდეგო ქართული ტიბიკონისა, რომელიც ამ ჟამად გაძევებულია მონასტირიდან. მართალია დარჩა კიდევ ერთი მისი მიმდევარი მღვდელი, რომელსაც, სიბერის გამო, არ შეუძლიან ხმოვანი წირვის თქმა...

ფრიად ნასიამოვნებმა აქაურმა ქართველ კათოლიკე მრევლმა მადლობის წერილი გაუგზავნეს პაპს და სთხოვეს ქართული წირვა-ლოცვის სამუდამოდ აღდგენას მონასტერში.

სტამბოლი **კათოლიკე.**
1913 წ. 16 იანვარი.

# 1881 წლის სამოსწავლო გეგმის გამო

იმ დიდ ტრფიალებას, იმ სანუკაობას, რომელსაც აცხადებს ეხლანდელი ჩვენი ქართველი საზოგადოება და პრესა 1881 წლის 13 იანვრის სამოსწავლო გეგმისადმი, გადავყევარ იმ ხანაში, როცა იგი გამოიცა და ვაგონებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ამა ხსენებულმა გეგმამ მაშინდელ საზოგადოებაზე და კერძოდ მასწავლებელთა სულიერ და ზნეობრივ სულის თქმაზეა. მაშინ ვმსახურებდი სოფლის მასწავლებლად ბოდბისხევის სასოფლო სკოლაში. წავედით მასწავლებლად რამდენიმე ამხანაგი, როცა სემინარია გავათავეთ, ხალხს ვემსახუროთო, ეგებ ცოტაც არის შევარყიოთ მისი სიბნელეო, ვამბობდით. ჩვენ წინამძღოლად იყო მაშინ სულ-განათლებული დირექტორი ტფილისის გუბერნიისა ბ. სტრელეცკი. ვახსენებ მას სულ-განათლებულად იმ დროსათვის (შემდეგ ამანაც გადაუხვია გზასა — პოლიტიკანობამ დასძლია), რადგანაც მაშინ იგი ყოვლად პირუთვნელად უცქეროდა თავის მოვალეობასა და ხალხის სიბნელიდან გამოყვანის საშუალებასა. აი სწორედ ამის დროს მოხდა ის ღირსახსოვარი კრება 1878 წლისა, რაზედაც შეიმუშავეს და დაკანონდა გეგმა სწავლისა. ამ გეგმით კი ორი წლის განმავლობაში ყველა საგნის სწავლება სწარმოებდა მესამე წლიდან. მაგონდება მისი სიტყვები ქ. სიღნაღში, სადაც შეგვკრიბა სასაუბროდ 1879 წელსა. სხვათა შორის ამ საუბარის დროს სთქვა: ოღონდ მუყაითად მოეკიდეთ საქმესა, რომ ნაყოფიერი იყოს ჩვენი საქმე, ხალხს მივცეთ რამე და მე სრულიადაც არ ვერევი იმ საქმეში, თუ რა ენაზედა გაქვთ სწავლა, აქ პოლიტიკას არ უნდა ჰქონდეს საქმე. და მართლაც ისე კარგად მიდიოდა სწავლა მაშინ სკოლებში, რომ, როდესაც 1881 წელს აპრილში ბავშვების გამოსაცდელად მივიდა მაშინდელი ინსპექტორი ზახარ იაგორიჩ ხითაროვი, გორელი, სარწმუნოებით გრიგორიანი, ხოლო სულით ქართველი, ავტორი იგავარაკისა „ლამურა", გამოსცადა ბავშვები და ნახა მისი ნაწერები, გაჰკვირდა და ხუთი თუ ექვსი რვეული წაიღო თან ტფილისში, უნდა გავახარო ჩვენი ქართველი მოწინავე პირნიო, რომ მოვესწარით იმ დროს, როცა ჩვენი გლეხის შვილმა ამდენათ გაახილა გონების თვალი, რომ ამისი დაწერვა შეიძლოვო. მაისში რომ ჩამოვედი ტფილისში, შევედი „ივერიის" რედაქციაში, ვნახე ჩვენი სასიქადულო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მოიგონა ჩემი ბავშვების რვეულები და სთქვა, ვნახე იგინი, აქ მოძიტანა ზაქარ იაგორიჩმა და სიამოვნებით ამევსო გულიო, თუ კი ამდენი გაგვიკეთდება თვითოეულ სკოლაში, რაღა გვიშავსო, ის ნაწერები თითქმის გაუსწორებლად შეიძლება დაიბეჭდოსო. იყო აწერილი ამორჩევა სოფლის მოხელეებისა, თანა ხატავდნენ თავის შთაბეჭდილებას ნაწერში. მაშინდელმა თანაშემწემ მაზრის უფროსისამ ბ. ლევან ჯანდიერმა მოახდინა სკოლის კარმიდამოზე ხალხის ყრილობა ამ არჩევანისათვის. მე გავგზავნე მესამე განყოფილების შეგირდები იქვე მდებარე მაღლობზე და დავავალე ყური ეგდოთ რაც მოხდებოდა დ აეწერათ საზრიანად.

როგორცა ვთქვი, 1878 წლის სასწავლო გეგმით რუსული სწავლება იწყებოდა მესამე წლიდან. უნდა გენახათ, რომ გაკვირვებულიყავით, თუ რა ადვილად ეჩერხებოდათ ბავშვებს ამ წლიდან რუსულის სწავლა, რადგანაც საზრისი გახსნილი ჰქონდათ და სულ ადვილად ჰავდებოდნენ. რასაც ეხლა სამ წელიწადს ვერ ათვისებენ ეხლანდელი ცრუ-პედაგოგნი, პოლიტიკანები, მაშინ ერთს წელს სულ ადვილად ითვისებდნენ. დიახ ესრე მიდიოდა საქმე. მაგრამ ყოველთვის სინათლეს უფრო ბევრი მტერი ჰყავს და იგი უფრო ულმობელია, ვიდრე სიბნელესა და ესეც მოხდა: ვითომ მოკეთედ, მოსურნეთ უფრო ბევრი ესწავლებინათ ბავშვებისათვის, იმის შეთვისებაც მოუგერხებლად გაუხადეს, რასაც წინათ ითვისებდნენ. წინანდელი მზრუნვე-

# დიმიტრი ყიფიანი

**(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე)**

**კარი XV.**

ბევრი რამ სათქმელი აღარა გვაქვს-რა. ადამიანის სიცოცხლე ცხოვრების სარბიელზე ხომ მძიმე ნაბიჯით მილოლავს. მაგრამ დგება დრო და ყოველივე აჩქარებულის და გაქანებულის იერით სიცოცხლის უკანასკნელ საზღვრამდე მიექანება. დასვენას წინ არა ეღობება-რა, თუ სიცოცხლის კვანძი შუაზეა გაპობილი... ასე მოხდა აქაც. როცა, ხანგრძლივ მოღვაწეობისა და მოქმედების შემდეგ, დიდმა მოხუცმა სავსებით ჰპოვა თავისი თავი და სთქვა საჯაროდ, რაც გულში ედვა, საშინელის დისონანსით გახმაურდა ეს მისი სიტყვა იმ სფერებში, სადაც მონურ ქედ-მოდრეკილობას იყვნენ ჩვეულნი. და დიმიტრი ყიფიანს გადასახლება გადაუწყვიტეს. არსებული პოლიტიკური წესი თავის წინააღმდეგი იქნებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყო. ამგვარ გაბედულებას და უშიშრობას ძლიერთა წინაშე ძლიერნი ამა ქვეყნისანი არავის აპატიებენ. არ აპატიეს არც დიმიტრი ყიფიანს და ცივ და სუსხიან შემოდგომის ჟამს, 72 წლის მოხუცი როგორც არა-საიმედო პირი და დამნაშავე გახიზნეს საცხოვრებლად ჩრდილოეთ კავკასიაში, ქ. სტავროპოლში.

საზოგადოება? რას ჰფიქრობდა და რა ფუნებაზე იყო ქართველი საზოგადოება? მაგრამ ძნელი გამოსაცნობი არ არის, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო საზოგადოება. ჯერ ეხლა რა ძალას წარმოადგენს იგი, და აბა იმ დროს რა უნდა ყოფილიყო. ერთმანეთში მწარე მითქმა-მოთქმა, ჩივილი და გოდება და ნაღვლიანი დუმილი. მაგრამ ერთი ფაქტი მაინც აღსანიშნავია, პასიურ პროტესტის ფაქტი. მცხეთაში ასაფლავებდნენ იმ ხანებში თ. ივანე მუხრან-ბატონის მეუღლეს... ქირისუფალმა ექსარხოსიც მოიწვია, რადგან მუხრან-ბატონის მეუღლეს შეჰფეროდა ამგვარი პატივიო. ტფილისიდან დიდი საზოგადოება იყო მისული. და როგორც მოწმობს ნიკ. ყიფიანი „თემში" დაბეჭდილ და ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ წერილში, დაიწყო რა ექსარხოსმა ქადაგება, საზოგადოების დიდმა ნაწილმა მიატოვა თავი სობოროს და გარეთ გამოვიდა. ის მაინც იყო აშკარა, რომ მომხდარ ამბებს არავინ იწყნარებდა და გმობდა და ჰკიცხავდა ისე, როგორადაც ეხერხებოდა.

ბევრად უფრო საყურადღებოა, ახალგაზრდობის გახმაურება აძ ამბების გამო. მოსკოველ ქართველმა სტუდენტებმა შემდეგი წერილი მოსწერეს დიმიტრი ყიფიანს:

ღირს-პატივცემულო ბატონო დიმიტრი!

ჩვენს ყოვლად დაძაბუნებულ და სასტიკ დროში, როცა ასეთს იშვიათს მოვლენას წარმოადგენს მოქალაქობრივი ვაჟკაცობის გამოჩენა და პირუთვნელი გაბედული სიტყვა, სიხარულით და იმედით შესცქერის ყოველი ქართველი იმ დიდად საქებურსა და პატიოსანს თავ-გამოდებას, რომელიც გამოიჩინეთ ეგზარხოსის პავლესადმი მიმართულ წერილში. ამ შემთხვევაში თქვენ ღირსეულად აღასრულეთ თქვენი კაცური მოვალეობა, ვითარცა საქართველოს ერთი კუთხისაგან რჩეულმა წინამძღვარმა და დაუფარავად გამოსთქვით მთელი ქართველობის დაფარული გრძნობა. თუმცა მართალია, პირველის შეხედვით თქვენმა სიტყვამ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს და დიდი უსიამოვნებაც შეგამთხვიათ, მაგრამ თვით ის, რაც მოხდა, ამტკიცებს, რომ სამართლიანად აღელვებულის გრძნობით განატყორცი ისარი არ ასცდენია მიზანს. თქვენი ქცევა ამშვენებს თქვენს ჭაღარა გვირგვინს და სრულს ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ის ქვეყანა, რომელსაც ჯერ არ გამოჰლევია თქვენისთანა მოხუცი, არ მომკვდარა, გვაქვს რა პატივი მოგახსენოთ ჩვენი უგულითადესი თანაგრძნობა.

დავშთებით მიაწიწებით და ღრმესად თქვენი პატივისმცემელი **მოსკოვში მოსწავლე ქართველნი.**

ქ. მოსკოვი.

სასიამოვნო რამ არის ეს წერილი. ახალგაზრდობამ ნამდვილის თვალით დაადასა გარემოება და შესაფერი სიტყვებიც მონახა მის დახასიათებისათვის. ეს დიდი ნუგეშია უბედურების დროს. ჩვენც ვინუგეშოთ თავი იმ იმედით, რომ ეს ქვეყანა მართლაც არ მომკვდარა და რომ მას სასო არ წარკვეთებია. ჩვენი საზოგადოების ახალი დროის ისტორიაც ხომ ამისი თავდებია. მაგრამ ეხლა ჩვენ ამ საგნის განხილვაში არ შევდივართ. მივხედოთ ჩვენს მოხუცს, გადახვეწილს ცივ და სუსხიან მხარეში. გონების თვალით მაინც ნუ მოვშორდებით მის მარტოობაში.

სტავროპოლში მისვლისთანავე დიმიტრის ავადმყოფობა დასჩემდა. ჰაერს აბრალებდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ თავი და თავი მისი სატკივარი ნერვიული ხასიათისა იყო. „ეხლა უკეთ ვარ, სწერს დიმიტრი თავისიანებს (ერთ წერილს ერთად—ცოლს, შვილს და რძალს); მაგრამ ასე დიდხანს, როგორც ახლა არასდროს ვყოფილვარ ავად. ხანდისხან მავლის ჩემი ნათლული ნინოჩკა". სტავროპოლში რამოდენიმე ნაცნობი ოჯახი აღმოუჩნდა დიმიტრი ყიფიანს — სალმინები, მაგალითად, რომლებთანაც ხშირად დაიარებოდა, აგრეთვე გამომძიებელი ტარსაიძე და ექიმი გრ. ელიავა, რომელიც ბეჯითად სწამლობდა დიმიტრის). „უკანასკნელ წერილში არ გიპასუხე შენს კითხვაზე, ვინ მივლის ავადმყოფობის დროს? — სწერს შვილს კოტეს 3 აპრილს. არავინ, ჩემო კარგო. ბევრნი მოდიან ჩემს სანახავად, ჩემი ნათლულიც ხშირად დადის. მოვლით კი არავინ მივლის და მე ყოველთვის მარტო ვარ, ხოლო სამი უჩინარი ძალა მაქვს გულში: მოთმინება, მორჩილება და იმედი. მაგრამ ერთხელ ამ სამმა ძალამაც მიმატოვა".

თავის რძალს ქ-ნ ნინოს სწერს: „შვილო ნინუკა! შენი ძარღვები და ჩემი ძარღვები—ძაფები და ბაწრები. ძაფი თუ დანამა ჰაერმა, მალე გაშრება, ბაწარს კი დრო უნდა. ამას ისე ადვილად ვერა გააშრობს-რა, როგორც ნახვა ერთმანეთისა და მამაშვილური ხვევნა-კოცნა ურთიერთისა". სხვა წერილში სწერს იმავეს: „განცილებით უკეთ ვარ. მაგრამ მაგიდასთან ჯდომა და წერილის წერა მაინც მიძნელდება, მკითხავ არ გესაჭიროებითო, რომ ვინმე ჩვენგანი წამოვიდეს. ძალიანაც მესაჭიროებით, მაგრამ აქეთ თქვენი წამოსვლა ეხლა შეუძლებელია". თავის პატარა შვილის შვილსაც იგონებს: „ჩემო კარგო ვეტუნუკა! ხეებზე ასვლის ნებას გაძლევს თუ არა მამიდა ლოლა. ოხ, თუ არ გაძლევს ნებასა, მე მოგცემ, რომ მოვალ". თავის ცოლს სწერს: აღდგომის ღამე სალმინებთან გავიმხსნილე. მაგრამ ნირვები ისე მქონდა აშლილი, რომ თვალებზე ცრემლები მადგებოდნენ, ჩემიანებს რომ ვიგონებდიო".

თავის „საქმესაც" ხშირად ეხება დიმიტრი წერილებში. „მკითხავთ, როდის მოვალო, სწერს თავისიანებს (ცოლს, შვილს, რძალს). ერთი რამ ვიცი—ღმერთმა იცის კიდევ, მისმა მიწიერმა წარმომადგენელმა, მე, რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ მალე დავბრუნდები. მაგრამ ძალიან მეშინიან, რომ ველარ მოვითმენ იმ დრომდე, სანამ წმინდა ჭეშმარიტება თავისთავად გამოაშკარავდება. საქმეს ბევრნი აბრკოლებენ და მეც რომ ძალა დავატანო, ადვილად შესაძლებელია, რომ დღევანდელ პირობებში უფრო მეტსაც მიკრან თავი. ასე რომ თავს ვიმაგრებ, სანამ შემიძლიან". მეორე წერილში (ისევ კოლექტიურში) ვკითხულობთ (ქართულად): „მანამდისინ საქმე არ აიხსნება და მათემატიკურად არ დამტკიცდება, რომ ერთ მთავარს სიცრუის მოხსენება გაუბედეს, ვის რა ეთქმის, ამ დამტკიცებას ორი გზის მეტი არა აქვს: ერთი საზოგადოებისაგან მიმავალი და მეორე—პირადად ჩემგან. ორივე გზით სიარული ერთსა და იმავე დროს რომ არ შეიძლება, ამიტომ ვაცლი პირველს გზაზედ მოძრაობას". საქმე ის არის, რომ დიმიტრის ცოლმა მთავარ-მართებელის თანაშემწესთან გენ. შერემეტევთან შუამდგომლობა აღძრა საქმის გამოსარკვევად. შერემეტევისაგან მან შემდეგი პასუხი მიიღო:

11 ივლ. 1887 წ, № 6391.

მოწყალე ხელმწიფე, ნინა იაგოროვნა!

თქვენი წერილის საპასუხოდ მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ დიდად თანაგიგრძნოთ თქვენს მდგომარეობაში, არ გირჩევთ ახლა შუამდგომლობის აღძვრას თქვენი ქმარის დაბრუნების თაობაზე სტავროპოლიდან, რადგან მგონია, რომ ამ შუამდგომლობას არ შეიწყნარებენ. ყოველ შემთხვევაში თქვენი ქმარის პატიების შესახები თხოვნა პირდაპირ მთავარ-მართებელს. თ. დონდუკოვს რომ მიართვათ, ყველას ე ჯობინება.

იყავით დარწმუნებული ჩემს თქვენდამი პატივცემაში და ერთგულებაში

ს. შერემეტიევი.

დიმიტრი ყიფიანი გაეცნო-რა ამ პასუხს, სწერდა თავის ცოლს: „მაშ საქმე ამაზე დადგა. იმედი კი მაქვს, რომ არსად, არას დროს და არავითარი ლაპარაკი არ უნდა იყოს პატიების შესახებ. რადგან პატიებას—ღმერთისადმი ვედრების გარეშე—მხოლოდ დამნაშავენი ითხოვენ". „არა, ამბობს დიმიტრი სხვა წერილში, მე თითონ უნდა მოვფინო ნათელი ამ საქმეს, მე უნდა ვსთქვა ჭეშმარიტება, რაც უნდა მწარე იყოს იგი. ამას ჩემს მეტი ვერავინ იკისრებს". ამასობაში ტფილისის უმაღლეს წრეებში ცვლილება მოხდა. ამის გამო დიმიტრი სწერდა თავის შვილ კოტეს: „ჩემი საქმეც ღვთით კარგათ მიდის. ჯერ ერთი გადაბძანეს, მერე მეორე, იმედია რომ მესამესაც თან მიაყოლებენ და მაშინ გაწმენდილი იქნება ჰაერი. იმ ხამში დიმიტრი ჰგულ სხმობდა — ექსარხოსს, თ. დონდუკოვსა და იანოვსკის. ერთ წერილში თავის ცოლს სწერდა: „რას იზამ! აი კაცი არხეინად მიდის ქუჩაში. ამ დროს ქარი ჩამოაგდებს აგურს, რომელიც თავზე დაეცემა. უნდა მივიღოთ რაიმე ზომები სისხლის შესაჩერებლად, თავის შე-

...ლი ნევეროვი გამოსცვალა ახალმა იანოვსკიმ 1880 წელსა, ამან კი პირველ ყოვლისა თვისი ძალა და ღონე, თვისი სურვილი და ფიქრები იმას მოახმარა, რათა შეეზღუდა 1878 წლის სასწავლო გეგმა. ნაყოფად მისი ამ ნაირი ცდილობისა დაიბადა 1881 წლის 13 იანვრის სასწავლო გეგმა, რომელსაც მაშინ ყველა შეხვდა მეტის-მეტად მტრულად. მიიღო იგი ვითარცა ველაგური განკარგულება. უარესი ზიზღი დაბადა ჩვენს მასწავლებლებში, რომელთაც იცნეს მასში სურვილი, არა ხალხის განვითარებისა, არამედ წვრილმანი პოლიტიკანობისა, რომ ამითი სწავლას, ხალხის თვითცნობიერებას ელობებიან წინა, ვიწყინეთ და 15-მდე მასწავლებელმა მივატოვეთ მასწავლებლობა.

დღეს კი რასა ვხედავ! დღეს ეს ყველასაგან აბუებული, ზიზღით მიღებული გეგმა 1881 წლისა სანუკაროდაც კი გახდა მთელი ქართველი ხალხისათვის, ვითარცა ზეციური მანანა და მაინც ვერა ჰღირსებია მის განხორციელებასა, ხოლო მისი მოტრფიალეთაგანი ჯერ 15 მასწავლებელია დათხოვნილი და დასათხოვნი მთავრობის საზრისითაც მარტო ქუთაისში. 1881 წელს თუ 15 მასწავლებელმა უარვყავით იგი და გავექეცით, ეხლა მისი მიმდევრობისათვის კიდეცა სჯიან. მოიგონეთ ის ალიაქოთი, რომელიც გამოიწვია ქუთაისში ამ გეგმის დევნამ: მაგრამ ავიწყდებოდათ, რომ ამ ნაირი საქმით არა გაუკეთებიათ-რა და ვერც გააკეთებენ, რომ ამითი უფრო დიდი უფსკრული შექმნეს ხალხთა შორის დაახლოვების მაგიერ.

დ. ხ—შვილი.

## სხვა და სხვა ამბავი

✦ პეტერბურგიდან ცნობაა, რომ ექსპერიმენტალურ მედიცინის ინსტიტუტში დირექტორად გამორჩენილ მეცნიერ მეჩნიკოვს იწვევენ.

## ერთი ჩვენის მოისმინეთ!

სტუდენტობის დაცემასა და მის ზნეობრივ გაკოტრებაზე დღეს ვინ არ ლაპარაკობს და სწერს, მაგრამ, თუ ყურს ათხოვებთ და გულდასმით მოეპყრობით ამ წერილებს, დარწმუნდებით, რომ აქ უმთავრესად ერთი ტიპის ხალხი ღაღადებს; ეს ის ჯგუფია, რომელსაც გუშინ მთელი ქართველი ინტელიგენცია ზურგს უმაგრებდა, მათ ლოზუნგებს „იცავდა“ და ეროვნულ იდეალების დაუძინებელ მტრად გამოდიოდა. სოციალური ბრძოლა მათის აზრით ის დიადი ღმერთი იყო, რომელსაც ეროვნული ინდივიდუალობის, განსხვავებულ კულტურის ინტერესები მსხვერპლად უნდა შესწიროდა. დღეს არო იცვალა და ყოველი პატარა ერი თვით გამორკვევის გზას ადგება; დღეს ცხადი გახდა, რომ ეროვნულ-ინდივიდუალურ გზაზე სვლით დაინტერესებულია ფაქტიურად არა ბურჟუაზია, არამედ მისი დემოკრატიული ნაწილები.

ახალგაზრდობის ეროვნულ ბანაკში გადასვლა და საკუთარ რაზმის შეთხელება ამ პირთ არ ესიამოვნათ. ეს მშრალი დოგმატიკოსები მუდამ წვრილმან შემთხვევებს ეძიებენ, რომ ამ ახლად გაძლიერებულ რაზმის ღირსება დაამცირონ. ამისი მაგალითები მრავალია: ის, ვინც გუშინ მათთან ერთად მუშაობდა და მათი პატარა კერპი იყო, ყოვლის მცოდნე, ჭკვიანი, აქტიური და სხვ. დღეს, რაკი მეორე ბანაკში ხედავენ —უვიცებად, შარლატნებად და ზოოლოგიურ ტიპებად ესახებათ. ამგვარ ტენდენციურ შეხედულებას თანდითან ეცლება ნიადაგი და იგი მიუდგომელ და ობიექტიურ დაფასებას უთმობს ადგილს.

ქართველებს სხვებზე მეტი უნარის გამოჩენა ეპირვება საეროვნო საქმეში, მისი ვალი უფრო დიდია და დიადიც ვა დღევანდელ ხანას, როცა ახალგაზრდობამ (კერძოთ სტუდენტობამ) ეს ვალი შეიგნო და ძველი ფანატიკოსობა უარჰყო,—ამ ხანას ჩვენ განახლების, აღორძინების ხანად ვთვლით; და რომ ეს ასეა ამას, დასელთა სავალალოდ, მომავალი ისტორიკოსი აღინიშნავს სავსებით...

ხოლო ეხლა, როგორც წელან ვსთქვით, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთ ტენდენციურად „გაშუქებულ“ ფაქტების ნათელყოფა და ჭეშმარიტების აღდგენა თვით ჭეშმარიტებისთვის და არა თავის გასამართლებლად; მხოლოდ ამ მხრით ვცნობთ ყურადღების ღირსად ბ-ნ „მოსულის“ წერილს (იხ. „თემი“ № 101).

ავტორი თანამედროვე ახალგაზრდობას ორ ბანაკად ჰყოფს და აღნიშნავს, რომ მეორე ბანაკი რიცხვით დიდ უმრავლესობას შეადგენს; ეს არის ეროვნულ ორგანიზაციაში შეჯგუფებული სტუდენტობა. მისი აზრით, მხოლოდ პირველი—დასელების მომხრე (უმცირესობა) ასრულებს პირნათლად თვის მოვალეობას, ხოლო მეორენი კი (სათვისტომოს წევრნი) დროს მარტო ქეიფსა და მუშტ-კრივში ატარებენ.

წერილიდან მკითხველი იმ შთაბეჭდილებას გამოიტანს, თითქოს ამ მხრივ დორპატის ქართველი სტუდენტობა ბევრად უფრო ჩამორჩენილი და მახინჯი სახის მატერებელი იყოს, ვინემ სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში. ბ-ნი მოსული, სწორედ დორპატიდან არის „მოსული“ და ამიტომ ფიქრობს — მისი ნათქვამი სტუდენტობის ამ ნაწილზე უფრო დასაჯერი და საფუძვლიანია.

როცა საამისო საბუთს ჰკითხავთ ბ-ნ მოსულს, გიპასუხებთ. რომ დორპატელი ქართველობა უმეტეს ნაწილად არა დასელებს ემხრობა და მისი დაცინვების საბუთიც აქედან გამოჰყავს. აფსუს!..

მეორე კიდევ აღსანიშნავი ის არის, რომ ბ-ნი მოსული იმ რიგად სწერს, თითქოს პირადად ამ საქმისა და განხეთქილების გარეშე იდგეს, საქმის ფაქტიურ მხარეს ეხებოდეს და მიუდგომლად სწონიდეს. ვაი, რომ ასეთი არ არის იგი ამ შემთხვევაში!.. საქმე ის არის, რომ ავტორი კარგა ხანია, რაც დორპატში ქართველთა წრეში ტრიალებდა და უნივერსიტეტში შესვლიდან, ვიდრე დამთავრებამდე, მუდამ აქტიურ მოწინააღმდეგედ გამოდიოდა ქართული სათვისტომოისა და საზოგადოდ ყოველგვარ ეროვნულ ორგანიზაციისა. ბ-ნ მოსულისათვის არ არსებობდა ეროვნული საკითხი და პრობლემა, ძას ეს საკითხი მარტოოდენ ბურჟუაზიის საკითხად მიაჩნდა და ახალთაობის დამამცირებლად. ეხლა კი გამომდგარა და აშკარად გაიძახის, ჩვენს ახალგაზრდობის რაზმში არ მოხდარა დიფერენციაცია, რომელიც სოციალურ ბრძოლის პროცესში ამ რაზმს ორ ბანაკად ჰყოფს. ნუ თუ ეს დიფერენციაცია ამ რამდენიმე წლის წინად უფრო აშკარა იყო, როცა ავტორს ძარღო სოციალური ბრძოლა სწამდა და ამ სახელით მიდიოდა სტუდენტობასთანაც და ეროვნულ პრობლემის ჩაფუჩეჩებას ლამობდა? ნუ თუ მაშინ უფრო ძლიერი იყო სოციალური კონტრასტი?! მაგრამ, ეს ხომ ისტორიის ჩარხის უკან შებრუნება იქნებოდა და ამას ერთი კი არა ათასი „მოსულნი“ ვერ შეძლებენ. აი, სწორედ ეს არის მისაღები მხედველობაში, რათა დარწმუნდეთ, რომ მოსულის წერილში უფრო ნატკენი გულის კვნესაა იმის გამო, რომ მისი ჰაეროვანი კოშკები დაიმსხვრა და ეროვნულმა ორგანიზაციამ საშინელის სისწრაფით იწყო ზრდა. როდესაც დასელები (კავკასიურ საზოგადოების წევრნი) სათვისტომოსთან შეერთებას ფიქრობდნენ, მაშინ ბ-ნმა მოსულმა აშკარად აღიარა, რომ შესაძლოდ სცნობს, რაც სურთ იგი უწოდონ ამ ახალ საზოგადოებას, ოღონდ ამ სახელში არ ერიოს სიტყვა **„ქართული“**. თუ, ყველა ამას მხედველობაში მივიღებთ, მივხვდებით, რამდენად მიუდგომელი და სწორად გაშუქებულია ბ-ნ მოსულის მიერ აღნუსხული ფაქტები... მაგრამ მე მაინც შევჩერდები ზოგიერთ მათგანზე.

ავტორი გვიკიჟინებს თითქოს სოციალ-პოლიტიკური პროგრამა სათვისტომოს არ მოეპოება. უპირველესად ყოვლისა, უნდა შევნიშნო, რომ სათვისტომო ერთგვარ სოციალ-პოლიტიკურ პარტიას არ წარმოადგენს. იგი ამ მხრივ მრავალ-ფეროვანია, როგორც მისი წევრები, მხოლოდ ერთი კი აშკარა და ნათელია ყველა მის წევრებისათვის: ეს არის ერთი ტომის სტუდენტობის კავშირის საჭიროება და მათი ენერგიული მუშაობა, სამშობლო ენისა და ისტორიის, მისი წარსულისა და აწმყოს ყოველმხრივი შესწავლა.

სათვისტომოს მიზანია - მოუმზადოს მრავალ-ტანჯულ ერს ღირსეულნი შვილნი და გააღვივოს მათ გულში ეროვნული გრძნობა; ზოგი მისი წევრი ამაზე შორს წავა და უფრო გააფართოვებს ამ მიზანს, მაგრამ ეს მათი პირადი გუნებისა და განწყობილების საქმეა და არა სათვისტომოსი. შესაძლოა სათვისტომოს მიერ დასახული პროგრამა ვიწროდ მოეჩვენოთ „მოსულებს“, მაგრამ ეს მაინც მათ ზნეობრივ უფლებას არ აძლევს, სთქვან: სათვისტომოს წევრები სრულებით არაფერს აკეთებენ, გარდა ქეიფისა და ქაღალდის თამაშისა, მარტო ჩვენ, დასელები ვართ, რაცა ვართო.

ეხლა ამ პირთა საქმიანობასა და ჩვენს უსაქმობაზე გადავიდეთ.

გაფიცვებში მონაწილეობას არ იღებენო... სტუდენტობას მხარს არ უჭერენო. ერთი მიბრძანოს ბ-ნმა მოსულმა, როდის იყო რომ ქართული სათვისტომოს წევრნი სტუდენტობას გამოეყვნენ, როდის იყო, რომ მათ აქტიური მონაწილეობა არ მიიღეს საერთო საქმეებში? განა ცოტა დევნა გადიტანეს ამის გამო, მოსულის ძმერ აწუნებულმა „ნაციონალისტებმა?“ რაც შეეხება სტუდენტთა წრეში სახელის გატეხას, ამას მართლა ადგილი ჰქონდა ერთხანს, სანამ ბ-ნ „მოსულის“ მომხრეებს გასავალი ჰქონდათ სტუდენტობაში, სანამ ისინი, შურითა და ღვარძლით აღვსილნი გინებითა და ლანძღვით იხსენიებდნენ სათვისტომოს.

„ერიდეთ მაგათ“, გაიძახოდნენ ეს პატივცემულნი გვამნი, „ესენი ჭეშმარიტი ქართველები, ხულიგანები არიანო“ და სხვა.

ხოლო ქართული სათვისტომოს წევრნი მაინც ჩუმად და ენერგიულად ეწეოდნენ თავიანთ საქმეს და დღეს ადგილობრივი სტუდენტობის დიდი უმრავლესობა (რასაკვირველია არა ისეთი ფანატიკოსნი...) მას დიდის პატივით ეპყრობა.

მე თვითონ მოწმე გახლდით ერთ შესაძრწუნებელ შემთხვევისა, რომელსაც აქვე მოვიყვან საილიუსტრაციოდ:

სტუდენტთა ეროვნულ ღ სხვ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებაზე მე პრინციპიალურ საკითხს შევეხე, როგორც სათვისტომოს წარმომადგენელმა, რის გამო რუსულ მოწინავე სტუდენტთა საზოგადოების წარმომადგენელმა პირში ბურთი ჩამჩარა საჯაროდ და სთქვა: გიცნობთ, ბ-ნო, ულტრა-ნაციონალისტებს, რომელნიც სხვა ერთა ჰამიაობას ჰქადაგებთ, როგორც მარკოვ-პურიშკევიჩებიო“. ამის გამო მე პროტესტი განვაცხადე, კრება დავტოვე და ის ამხანაგიც გამოვიწვიე; რამდენიმე დღის შემდეგ, ავუხსენი ვინც ვიყავი, ავუხსენი, რომ ჩვენი მცნება სრულებით ეწინააღმდეგება კაცი-ჰამიაობის და შოვინიზმის პრინციპს... მან მხრები აიჩეჩა, ბოდიში მოიხადა და მითხრა: „ჩვენ ასე აგვიხსნა თქვენ შესახებ ამხ. №-ძა“-ო (თუ საჭირო იქნება ამ პირებსაც დავასახელებ); სწორედ ეს №-ი გახლავთ „მოსულის“ ახლო პირი და დასელთა ერთი მეთაურთაგანი. ნურას უკაცრავად, თუ ამგვარი რაიმე ჩვენ არ ვიკადროთ იდეურ მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ამ პირთა წყალობით ქართველობას ერთ ხანს სახელი გაუტყდა, მაგრამ დრომ თავისი ჰქნა, ქართველთა სათვისტომოს კულტურულმა მუშაობამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო და დღეს იგი ერთ მოწინავე საზოგადოებად ითვლება სტუდენტობაში. ძველი ჭორები დღეს მათაც სასაცილოდაც კი არ ჰყოფნით...

შემდეგ ბ-ნი მოსული ქართველებს უკიჟინებს ერთგვარ კარჩაკეტილობას და ეს მიუტევებელ ცოდვად მიაჩნია. სათვისტომოს წევრები სხვა საზოგადოებებში მონაწილეობას არ იღებენ და მარტო სათვისტომოსთვის ზრუნავენო.

ჯერ ერთი, ეს მართალი არ არის, რადგან სათვისტომოს წევრები სხვა საზოგადოებებშიაც ითვლებიან წევრებად (ექიმების, იურისტების, რუსების და სხვ. საზოგადოებებში) და მეორე და უმთავრესი კი ის არის, რომ სათვისტომოს წევრთ ცოდვად კი არა, აქტივად უნდა ჩაეთვალოს, რომ ისინი ეროვნულ ნიადაგზე გათვითცნობიერებას, და მშობლიურ კულტურის შესწავლას ემსახურებიან უმთავრესად. მხოლოდ ქართული სათვისტომომ შეეცადა დორპატის ქართველობა შეეკავშირებინა, სამშობლოს ბედ-იღბლით დაეინტერესებინა და უცხოელთათვისაც (რუსები, გერმანელები, პოლონელები, უკრაინელები, ლატიშები) გაეცნო ჩვენი ვინაობა. სხვა და სხვა ეროვნებათა სტუდენტობის კავშირს მარტო სათვისტომომ ჩაუყარა საძირკველი და არა დასელებმა, რომელთაც ასე ეშინიათ ეროვნულ ორგანიზაციებისა და წრეებისა. რა გააკეთა კავკასიურმა საზოგადოებამ (დასელები), რათა ქართველობა გოტენტოტებათ არ ჩაეთვალათ ამ საქმისათვის? არაფერი!

სათვისტომოს ბევრჯერ გაუმართავს საღამოები, რეფერატები, მოხსენებები, იუბილეები, როგორც რუსულად ისე ქართულად საქართველოს ცხოვრებიდან, და არც ერთხელ არ მახსოვს ამ 4 წლის განმავლობაში, რომელიმე დასელს მიეღოს რაიმე მონაწილეობა ამ ეროვნულ საქმეში, გარდა ერთი ამხ. არ—ისა, რომელიც მათი საზოგადოებიდან გამოვიდა და ამ დროს მათი წევრიც არ იყო. მხოლოდ მან მიიღო ერთხელ მონაწილეობა ამ ეროვნულ საქმეში.

რამდენი იუბილეი გვიმართავს, მიუხედავად იმისა, რომ ხარჯები ვნახეთ, ვთხოვეთ ამ დასელებსაც მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ არც ერთხელ არ უპასუხნიათ ჩვენს წინადადებაზე და ხანდისხან დაგვცინოდნენ კიდეც: „საქმეში არიანო!“ განა ამ საერთო ქართულ საქმეში მოპატიჟება საჭირო იყო.

რას იზამთ! ამათ არა სწამთ ქართული საქმე და სხვებსაც გულს უცრუებენ: განა ეგ არაფერია, რომ დღეს სათვისტომოს წევრნი სხვა და სხვა წრეებს აარსებენ ამ სათვისტომოსთან, სექციებად იყოფვიან და ისინი, ვისაც წარმოდგენა არა ჰქონდა საქართველოს ისტორიაზე და ლიტერატურაზე, დღეს ყოველ ეპოქას ამ გახძიდან დაკვირვებით სწავლობენ? განა ის არაფერია, რომ სამშობლოს სიყვარულმა ისეთი ფეხი მოიდგა და საქართველოს მაჯის ცემას ასეთ ყურს ათხოვებენ სათვისტომოს წევრნი? განა არაფერია, როცა უცხოელებმაც გაიგეს ჩვენი წარსული, ჩვენი კულტურა და მათ გაზეთშიაც აიღიდეს ქართველობაზე ხმა? აი, რას აკეთებს სათვისტომო და აი რისთვის ვერ ინელებთ თქვენ მას...

რაც შეეხება ზოგიერთ წევრთა ცუდ საქციელს, უნდა მოგახსენოთ, სათვისტომო კერძო ცხოვრებაში პირდაპირ ვერ ჩაერევა, მაგრამ ეს ცუდი საქციელიც თანდათან ამკარად ქრება, რაკი კულტურული მუშაობა ფეხს იკიდებს ჩვენს წრეში.

თვითმკვლელობაც, ხომ, რომელიც მესამედ მოხდა დორპატში, სულ კერძო მიზეზების ბრალია, და რა საკადრისია, როცა ბ-ნი „მოსული“ მას სათვისტომოს კარჩაკეტილობას აწერს... ძანაც კარგად იცის, რომ ზოგ მათ წრიდანაც, ამ საზარელ საქმეს და ამ საბედისწერო დროს დასელობით ვერას შველის; ამის მაგალითი თვით დორპატში იყო. საერთო სოციალ-პოლიტიკური მიზეზები, აშკარაა, სტუდენტთა წრეს ვერ მიეწერება, თუნდაც იგი სათვისტომო იყოს. და სწორედ თუ ვინმე იბრძვის ამ საშინელ მოვლენათა წინააღმდეგ, სათვისტომოც მათ გვერდით უდგას... კულტურული, ენერგიული მუშაობა, ეროვნულ ნიადაგზე ქართველ სტუდენტობისა, ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია, რომ ახალგაზრდამ თვის ცხოვრება ერთს მომავალს აკუთვნოს და უფრო დააფასოს.

ხოლო ამისათვის კი საჭიროა, რამდენადაც შეგვეძლება, სამშობლოს სიყვარულის იდეის განმტკიცება და შრომა.

---

სახვევად. ამ კაცს უნდა მოუვაროთ. ამგვარი უგუნური შემოსევა, საუბედუროდ, ხშირია ადამიანის სიცოცხლეში. მაგრამ რას იზამ, როგორც შეგვიძლიან და ღონე შეგვწევს ვმოქმედობთ ამის წინააღმდეგ“.

ამ მიწერ-მოწერაში დიმიტრი, ასე ვსთქვათ, თავის შემეცნების წრეშია. ძველი რწმენა და პოლიტიკური მსოფლ-ხედველობა ისევ ბატონობს მასში. ხელმწიფე შეცდომაში შეუყვანიათ, რომ არ შეეყვანათ საქმე ასე არ იქნებოდა. ახლა იმიტი მეშველება რომ ჭეშმარიტება უნდა ვამხილო. ბევრს არ ესიამოვნება, მაგრამ უმაღლესად საქმე ამ ჭეშმარიტების მიხედვით გადაწყდება. რომ ბოროტ მოხელეს გადაიყვანენ და ჰაერი გაიწმინდებაო და სხვა. ამ იმედებით იკვებებოდა ბოლოს დიმიტრი და ამ იმედებით იგერიებდა მწარე ფიქრებს, რომელნიც მოესეოდნენ და გულს სიმშვიდეს აცლიდნენ.

საუბედუროდ აქ გვაკლდება ცნობები. არც წერილები გვაქვს, არც „დღიური“, რომელიც უწერია ამ ხანაში. უმაღლეს სახელობაზე ქაღალდიც არსად სჩანს და ერთბაშად თითქოს ჰქრება სინათლე და ყოველივეს წყვდიადი ეფინება. ასე ვართ იმ დრომდე, სანამ ტფილისში მოვა საზარელი ამბავი დიმიტრი უწყალოდ მოჰკლესო. და ეს ამბავი გლოვის ზარისავით, რომ მოედო მთელ საქართველოს, ერთ წამს თითქოს კიდევ მეტად ჩამობნელდა და თითქოს მთელი ქვეყანა გაეხვია შავ სუდარაში... ბოლოს მივხვდით და გავიგეთ, რაშიაც იყო საქმე.

სტავროპოლიდან გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამი იყო: „დიმიტრი ყიფიანი მოჰკლეს ღამე 24 ოქტომბერს, მძინარე. თავში დაუცხიათ სასწორი ქვა. „ივერიას“ ატყობინებდნენ: „გამოძიება ერთს საოცარს ამბავს მიადგა... დიმიტრისთან ხშირად დაიარებოდა უკანასკნელს დროს ერთი საეჭვო კაცი, ნაცრის ფერის პალტო ეცვა. ეს კაცი გადაეკიდა დიმიტრის და მოსვენებას აღარ აძლევდა მოხუცს“. მკვლელობის შემდეგ ეს საეჭვო კაცი სადღაც გაჰქრა, ამასთან ისიც გამოირკვა, რომ უკანასკნელ დროს დიმიტრის საქმე კარგად დატრიალდა. დიდი მთავარი კიდევ ჩამოსულა თავის მამულში, ბორჯომში. ამ შემთხვევით უსარგებლია დიმიტრის ცოლის და მის ქალიშვილს ელენეს, თ. ანტონ ლორთქიფანიძის მეუღლეს, მისულან ბორჯომში და თვალცრემლიანებმა შესჩივლეს დიდი მთავარს თავისი მწუხარება. დიდ მთავარს აღუთქვამს, ვეცდები პეტერბურგში დაბრუნებისას და იმედი მაქვს თქვენს მოხუცს უკანვე დავაბრუნებინებ. და მართლაც, მალე საქმეც მოუხერხებია და დღე-დღეობით ელოდნენ დიმიტრის ჩამოსვლას. მაგრამ მისმა მტრებმა სხვანაირად განსაჯეს. ვალერიან გუნია თავის „მოგონებაში“ ასე მოგვითხრობს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ამ ამბავს მოუხდენია ტფილისში: „სწორედ კვირას, 25 ოქტომბერს, როცა თეატრში გაცხარებული მუშაობა იყო, გავრცელდა ზარ-დამცემი ხმა დიმიტრი ყიფიანის მოკვლისა. ვანო მაჩაბელი მთლად გაფითრებული და ხელებ-აკანკალებული, ნერვიულად წამ-და-უწუმ გაიძახოდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!“ ნიკა დიასამიძე გარინდული, გაშტერებული და თვალებ-დაცქვეტილი ხმას ვერ იღებდა, თითქოს სული შეეხუთაო... ბოლოს ვანო მაჩაბელი ბანკისაკენ გაექანა. ჩვენც გავყევით. მაშინათვე კაცი აფრინა ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც იქვე იდგა ბანკის ახლო, ფრეილინის ქუჩაზე, სადაც მისი გაზეთის „ივერიის“ რედაქციაც იმყოფებოდა. მალე მოვიდა თითონ ილიაც წარბ-შეკრული და პირ-მოკუმული... ვანო მაჩაბელს ნერვიული ქვითინი აუვარდა. ილიას ჯერ ქვემო ტუჩმა დაუწყო თრთოლვა და მერე გაწითლებულ თვალთაგან ცრემლები წამოსკდა... მე არასოდეს არ მინახავს ასეთი ჩუმი, მუნჯი და იმავე დროს უმაღლესად მეტყველი მწუხარება“!. „ხალხის გულის წყრომას,— განაგრძობს ვ. გუნია,—მის აღშფოთებულ სინიდისს და აფორიაქებულ მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა. მთელი საქართველო სდუღდა სამართლიანის გულის წყრომით და არსება მისი აღვსილი იყო მართებულის შურის-ძიებით“.

და ამ სიტყვებში გაზვიადებული არა არის-რა. ამ სტრიქონების დამწერს, მაშინ გიმნაზიის მეორე კლასის შეგირდს, კარგად ახსოვს დიმიტრი ყიფიანის დასაფლავების დღე. დიდებულ ცერემონიებს ახლა ჩვეულნი ვართ, მაგრამ იმ დროისთვის ის ზღვა ხალხი, საქართველოს ყველა კუთხიდან შეგროვილი, ეროვნული გრძნობის აპრიალება და საზოგადოებრივ სოლიდარობის გამტკიცება, დიდებული, ჯერ კიდევ უნახავი პოლიტიკურ-ეროვნული დემონსტრაცია იყო. და საკვირველი ის არის, რომ ყველანი, უზომო მწუხარებასთან ერთად, განიცდიდნენ რაღაც სევდიან სიხარულს, რომელიც საერთო უბედურების დროს ისადგურებს ხოლმე ხალხის გულში. ისადგურებს იმიტომ, რომ ამ დროს საკვირველის სიცხადით იღვიძებს გრძნობა საერთო ნათესაობისა, მახლობლობისა და ერთობისა. და სწორედ ამისთანა გრძნობით იყო შეპყრობილი ქართველი საზოგადოება დიმიტ. ყიფიანის დაკრძალვის დღეს. ამიტომაც არის, რომ ეს დღეს ქართულ ეროვნულ თვით-შემეცნების ისტორიაში ისტორიულ დღედ დარჩება.

დიმიტრი დასაფლავებულია მთაწმინდაზე,—იქ, სადაც ილიაც განისვენებს ამ ჟამად. ეს ორი მოღვაწე, სხვა და სხვა გზით მოსიარულე, ერთ შესაფარში მეზობლად დააბინავა ქართველმა ერმა. და ეს შემთხვევით არ მოხდა ასე, ამას დიდი და ღრმა აზრი უდევს საფუძვლად. ორივენი საქართველოს გენიის სხვა და სხვა სახით გამომსახველნი იყვნენ. ილიას თითქოს ჭკუნვისა და ფიქრის სიმბოლოა, დიმიტრი სიმბოლო ნებისა და მოქმედების. ილია პოლიტიკურ აზროვნების მხრივ ახალი დროის კაცი იყო, თუმცა ძველი დროის და ნააზრევის კვალი მის გულში წაშლილი არ იყო. დიმიტრი ამ მხრივ სავსებით ძველი ეპოქის კაცი იყო. სამაგიეროდ მასში ამ ეპოქის ძლიერი ნების-ყოფა იყო ჩანერგილი, რმელიც ამოძრავებდა მის მოღვაწეობას, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანაში. ილია, თუმცა არსებითად ოპტიმისტი, რეფლექსიით იყო შებოჭილი და მის მოქმედებას მთლიანობა და პირდაპირობა აკლდა. დიმიტრი მთელი, მაგარი და მთლიანი იყო, როგორც ბუნების წიაღში ნაპოვნი ტინი და მის ყოველ გადაწყვეტილებას შეურყევლობის სიმაგრე ჰქონდა... დიაღ, შემთხვევით არ არიან დიმიტრი და ილია იმ მშვენიერ მაღლობზე, უძველეს ტაძრის გვერდით, საიდამაც ეს ძველის-ძველი ტანჯული, ხოლო გულ-გაუტეხავი დედა-ქალაქი ასე ლამაზად იშლება მთების დაქანებულ ფერდოებზე და დაბლა ნელად მღელვარე მტკვრის ორივე ნაპირებზე...

ჭეშმარიტება და სიმართლე მწუხარებასა და ტანჯვაში იშვებიანო, რომ ამბობენ, სწორედ ჩვენზე და ჩვენს პირობებში მყოფ ერებზეა ნათქვამი. მწუხარებამ შეგვძინა ახალი ძალა, ახალი შემეცნება, ახალი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. მწუხარებამ ჭეშმარიტების და სიმართლის გრძნობა გააკაჟეს ჩვენს გულში და ეს ხომ ისეთი სიმდიდრეა, ისეთი ბედნიერება, რომ აღარა გვეფიქრება-რა. ეს შევიგენით ჩვენ, ხოლო ჩვენმა მტრებმაც შეიგნეს ჩვენი ამ შეგნების გზაზე დადგომა, მოელოდნენ ამგვარ ნაყოფს, ხოლო, როდესაც დღესავით ნათელი გახდა ყოველივე, ეჭვმა და შიშმა შეიპყრო. ჯერ იყო და პირველ გიმნაზიის ეკლესიაში დანიშნული პანაშვიდი აკრძალული იქმნა, დასაფლავების დროს ათასგვარი დაბრკოლება იბადებოდა —ეს სასახლის წინ კუბოს გატარება არ შეიძლება, სიტყვების წარმოთქვა აკრძალულია, ეკლესიის გალავანში ყველას არ შეესვლებაო და სხვა. მაგრამ ამ განკარგულებას ყურადღებას არავინ აქცევდა. სამგლოვიარო პროცესია სასახლის წინ გაატარეს, სიტყვებიც წარმოსთქვეს და გალავნის კარებიც ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ გაანგრიეს. ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ, ხალხიც რომ დაინახა და იგრძნო შეერთების ძალის აზრი, ადმინისტრაციაც, რომელიც მოუმზადებელი აღმოჩნდა ამგვარ ამბების წინაშე. საქმე იქამდის მივიდა, რომ „ივერიის“ რედაქციას დააბრალეს, შენ თითონ სთხზავ აუარებელ სამძიმრის დეპეშებსა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია ამგვარი აზვირთება საზოგადოების აღშფოთებისაო. დიდად საყურადღებოა ამ საგნის ნათელსაყოფად ვალერიან გუნიას წერილი კოტე ყიფიანთან მიწერილი.

კოტე ყიფიანი გვირგვინების ლენტებს სთხოვდა გუნიას. გუნია სწერდა: „ილია ჭავჭავაძემ გადმომცა გუშინ ეს ლენტები და თან მთხოვა, რომ შენი წერილის პასუხიც მიმეცა. რაც შეეხება ტელეგრამებს და სხვა მრავალ წერილებს, ილიას ჯერ არ შეუძლიან ჩაგაბაროს, რადგან საქმე ძლიერ გამწვავდა. „ივერიის“ რედაქციას ამტყუნებენ, შენ თითონ სთხზავდი ტელეგრამებს და წერილებსო. ამიტომ ილიას ჯერ-ჯერობით დასჭირდება როგორც გასამართლებელი საბუთი. ეხლა პეტერბურგიდან მიწერ-მოწერა აქვს გამართული აქაურს ცენზურას და ჯერ უნდა მოითმინო... მე ვაპირებდი,— განაგრძობს გუნია,—გამომეცა დიდი წიგნი სახსოვრად განსვენებული დიმიტრისა, მაგრამ ეხლა სულ აღგვიკრძალეს კრინტის ამოღება და „კალენდარშიაც“ ნებას არ მაძლევენ ორიოდე სიტყვა ვსთქვა“. 1887 წ. XI/18.

აი იმ დროის ნამდვილი პოლიტიკური ვითარება. ერთი საფეხურით წინ წავდექით, ჩვენდა მოულოდნელად ერად ვიგრძნევით ჩვენი თავი, თვით-შემცნე ღ თვით-შემგნე ერად. ეს სასწაული დიდის ხნობით მზადდებოდა. ოთხმოცდა შვიდი წლიდანაც კი მანძილია მიძინებულ შემეცნების გამოფხიზლებისათვის, მით უფრო, რომ ძილიც არ იყო მაგარი და წინადაც, სხვა და სხვა მომენტებში, მცონარენი შევკრთებოდით ხოლმე. ილიას, აკაკის და სხვათა ძახილზე რიღაცის მოლოდინში გაოცებულის სიხარულით დავყურებდით ამ ჩვენს დამშვენებულ ქვეყანას, და ეხლა იმ მოხუცის წყალობით, მთაწმინდაზე რომ მიწას აბარია, გადაჰქრით და სამუდამოდ გამოვერკვიეთ ძილისა და ბურანისაგან. მაშ განისვენე მშვიდობიანო და დიდო მოხუცო, შენი სახელი კი აღბეჭდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით „მოსული" დამეთანხმება, რომ მისგან მოწონებულ დასელთა საზოგადოებას ამ ნიადაგზე არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს და ეს დღემდეც სამარცხვინოდ მიაჩნია. აქეთ გვიკიჟინებენ: პატარა მიზანი დაგისახავთ, კარჩაკეტილნი ხართო... მაგრამ ერთი მიბრძანოს ბ-მა „მოსულმა", ნუ-თუ ისიც საერთაშორისო დიდმა მიზანმა გამოიწვია, რომ მისი სათაყვანო საზოგადოება შარშან არ იწერდა არც ერთ ქართულ გამოცემას, მას არ მოსდიოდა არც ერთი ქართული ჟურნალი და გაზეთი, მას დღემდე არ მოეძებნება არც ერთი ქართული წიგნი?.. განა საკმარისია მოწინავე, პატენტიანი მემარცხენე წრე ღებულობდეს კავკასიიდან მხოლოდ: „Голосъ Кавказа"-ს და „Тифлисскій Листокъ"-ს... და ასეთი ხალხი ჩვენ გვიკიჟინებს—პატარა საქმეს ეწევითო!.. ვაი სირცხვილო—სადღა არის შენი სიწითლე!.. **კოდალა.**

# კავკასიის კანონ-პროექტები მინისტრთა საბჭოში

25 იანვარს მინისტრთა საბჭოს სხდომა მოხდა. კოკოვცევი თავმჯდომარეობდა. სხდომამ მეფის მოადგილის მიერ წარდგენილი ორი კანონ-პროექტი განიხილა. პირველი ეხება დაღისტნისა და ზაქათლის ოლქში მოსახლეთა ვალდებულების გაუქმებას. მეორე—სახაზინო გლეხთა მიწების მოწესრიგებას.

ზაქათალის და დაღისტნის ოლქში სოფლის მცხოვრებნი იხდიან გადასახადს ბეგებისა და მემამულეების სასარგებლოდ. კანონ-პროექტი აუქმებს ამ გადასახადს და გლეხებს ვალდებულებისაგან ანთავისუფლებს. ბეგებისა და მემამულეების დასაკმაყოფილებლად ხაზინა ერთდ-როულად გადასდებს ფულს, რაც შემდეგ გლეხებმა წვრილ-წვრილად უნდა იხადონ 10—15 წლის განმავლობაში.

საუწყებათა-შორისო თათბირმა, სენატორ ნიკოლსკის თავმჯდომარეობით, გადასწყვიტა მისცეს ბეგებსა და მემამულეებს 585,468 მ. 55 კ.

მეორე კანონ-პროექტი, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ეხება სახაზინო გლეხთა მიწების მოწყობას და მოწესრიგებას.

მინისტრთა საბჭომ განიხილა ორივე კანონ-პროექტი, მოიწონა და დაადგინა საკანონმდებლო დაწესებულებაში წარადგინოს.

# მუშათა შორის

**პეტერბურგის მუშები.**

**ბამბეულობის საქსოვი ქარხანა.**

ბამბეულობის საქსოვ ქარხანაში 24 მუშა გაიფიცა ხელფასის დაკლების გამო. ქარხნის ადმინისტრაციამ მუშაობას მოაშორა 1200 კაცი.

გაძევებულმა მუშებმა დაიბარეს ქარხნის ინსპექტორი, ქარხნის გამგე ლენდენმა, რომელმაც თავის ნებით დაითხოვა მუშები, მოახსენა ინსპექტორს რომ ყველანი გაფიცვას მიემხრნენ და ამის გამო დავითხოვეო. მუშებმაც განმარტება მისცეს ინსპექტორს. ინსპექტორმა დაინახა ქარხნის გამგეს ურიგო და უკანონო საქციელი და მუშებს უთხრა: „მე აქ არაფერი შემიძლიან, როგორც გინდათ ისე მორიგდითო". ამის შემდეგ მოვიდა გამგე და უთხრა: „მუშაობას განვაახლებ, თუ გაფიცული მუშები შეუდგებიან მუშაობას ფასდაკლებითო".

მუშებმა უარი განაცხადეს. ისინი მოითხოვენ ან ადმინისტრაციამ დააკმაყოფილოს 24 მუშის მოთხოვნილება, ან ყველა დათხოვნილ მუშებს ორი კვირის ხელფასი მისცენ „უმუშევრობის" დროსთვის. ადმინისტრაციამ ამაზე უარი უპასუხა: თუ გნებავთ სასამართლოს მიმართეთო. ადმინისტრაციამ მოსთხოვა მუშებს, მუშაობა დაიწყეთო. 23 იანვარს დილის 4 საათზე მუშაობას ორი წყება შეუდგა. გაფიცულთა გარდა ქარხნის გამგემ დაინახა თუ არა, რომ გაფიცულნი არ მუშაობდნენ, მოიწვია პოლიცია და ყველა მუშები გააძევებინა ქარხნიდან. უბნის ზედამხედველი სცემდა მუშებს, იმისთვის, რომ ისინი მარდად ვერ იცვამდნენ.

მუშათა მოძრაობა სწარმოებს აგრეთვე ბამბეულობის საქსოვ მეორე ქარხანაში.

23 იანვარს საფეიქრო განყოფილების მუშებმა დილის 10 საათზე მუშაობაზე ხელი აიღეს. ფეიქარი ქალები წავიდნენ კანტორაში. უფროსები ემუქრებოდნენ გაფიცულთ: იმუშავეთ თორემ დაგითხოვენო. ქალებმა მოითხოვეს ქარხნის ინსპექტორი. მუშა ქალებს დანით ემუქრებოდნენ კარგლები. ერთ ქალს ფიცარი მოარტყეს ყელში.

ინსპექტორი მოვიდა და განუცხადა: თქვენი მოთხოვნილებანი ეხლავე ვერ დაკმაყოფილდება, მუშაობას შეუდგეთ, თორემ ქარხანა დაიკეტება და ყველას დაგითხოვენო. მუშაობას მაინც ქალები არ შეუდგნენ. გაფიცულია 1000 ქალამდე.

**ლივჩაკის სამექანიკო ქარხანა.**

ამ ქარხნის მუშებმა ქარხნის პატრონს წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი:

1) $1\frac{1}{2}$ საათი სადილისთვის. 2) შაბათობით მუშაობა უნდა დასრულდეს 2 საათზე. ფასი სრული სამუშაო დღისა უნდა ეძლეოდეთ. 3) 9 საათის სამუშაო დღე. 4) გაადიდონ ხელფასი მანეთნახევრიდან 2 მან. და ათ შაურამდე. 5) ფულის მიღება სამუშაო დროს განმავლობაში სწარმოებდეს. უკანვე მიიღონ 2 მუშა, რომელნიც 9 იანვრის გაფიცვის გამო დაითხოვეს.

მუშებმა განუცხადეს: ვიდრე მათ მოთხოვნილებას სავსებით არ დააკმაყოფილებთ, არ ვიმუშავებთო. ქარხნის პატრონმა მცირეოდენის ცვლილებით დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნილება. გაფიცული იყო 50 მუშა.

**გუტმანის სტამბა.**

გაფიცვა 64 დღეს გრძელდება. სტამბის კარებზე მიკრულია: „საჭირო ასოთამწყობები". მიუხედავად ამისა სამუშაოდ მაინც არავინ მიდის, სანამ მათი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნება.

# ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

31 იანვარი.

**სოფია.** ადრიანოპოლს ყუმბარებს უშენენ. 28 და 29 იანვარს ოსმალებმა ადრიანოპოლიდან გამოსვლა სცადეს, მაგრამ ბულგარებმა უკუ აქციეს. ბრძოლის დროს ოსმალებს დიდი ზარალი მოუვიდა. ჩათალჯასთან და ბულაირთან მდგომარეობა უცვლელია. მარმარილოს ზღვის ნაპირები სილივრიიდან ბულაირამდე ბულგარების ხელშია.

**სოფია.** მთავარ შტაბის ცნობებში აღნიშნულია, რომ სტამბოლის ყველა ცნობები ოსმალთა საეჭვო გამარჯვების თაობაზე შეთხზულიაო. ჩათალჯასთან ბულგარებმა უკან დაიხიეს, მაგრამ ეს იყო წინასწარი განზრახულ გეგმის შესრულება. ადრიანოპოლთან ბულგარები თან-და-თან სიმაგრეებისკენ იწევენ.

**ათინა.** დიადოხმა შემოუარა ჯარს და უთხრა: „ჩვენ გვესმის თქვენი დაუცხრომელი ჟინი სიმაგრეზე იერიშის მიტანისა. მალე დადგება ნანატრი წუთი, როდესაც ლაშქარს შეეძლება საბოლოოდ იანინში დაისვენოსო".

**საზავო მოლაპარაკების განახლების იმედი.**

**სტამბოლი.** ოსმალეთის სააგენტოს ცნობით, მაჰმუდ-შეფკეტ-ფაშამ ახალი წინადადება მისცა მოკავშირე სახელმწიფოებს, რომელნიც საზავო მოლაპარაკების განახლებას შესაძლებლად ჰყოფენ.

**გაზეთებიდან.**

**ჩათალჯასთან.**

ოსმალები ხელახლად შეეცადნენ იერიშის მიტანას ბულგარელების პოზიციებზე, მაგრამ ეს ცდაც უნაყოფო გამოდგა. იერიშის მიზანი იყო ბულგართა ფლოთის შეკვეცა ბუქრესქიოს ახლოს. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ქვეითა ჯარის ერთი პოლკი სამთო არტილერიით და ტყვიისმფრქვევლებით. ბულგარელებმა ახლოს მოუშვეს მტერი და მერე უეცრად თავს დაესხნენ. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, რასაც შედეგად ოსმალთა დამარცხება და უკუქცევა მოჰყვა.

**ქ. როდოსტოსათვის ზარბაზნის დაშენა.**

